140 | 1
1989 | 2

ISSN 0132 – 6007



# პიონერი

6
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და კვლავ შეხვედრებით

ამ ზაფხულს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ფხენიანში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალი.

როგორ ჩაისახა და განვითარდა საფესტივალო მოძრაობა? მოდით, გავიხსენოთ მისი ისტორია.

1945 წლის შემოდგომაზე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, ლონდონში, ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციაზე, შეიკრიბნენ 63 ქვეყნის წარმომადგენლები. ესენი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური რწმენის ადამიანები. ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ დაესახათ მშვიდობისათვის, ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ახალგაზრდობის ბრძოლის გზები.

კონფერენციაზე შეიქმნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია და გადაწყდა, ჩაეტარებინათ ახალგაზრდობის მრავალათასიანი შეხვედრა, რომელიც წარმატების შემთხვევაში ტრადიციულად უნდა ქცეულიყო.

იგი მზადდებოდა „ცივი ომის" მძიმე პირობებში. აი, თუნდაც ასეთი მაგალითი: არა მარტო კონსერვატორები, არამედ დანიის, შვეციის, ნორვეგიის სოციალ-დემოკრატებიც კი წინ აღუდგნენ თავიანთი ქვეყნების ახალგაზრდების მონაწილეობას პირველ ფესტივალში. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ დელეგატებს აპატიმრებდნენ, ანდა უარს ეუბნებოდნენ ვიზების გაცემაზე.

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, 1947 წლის ზაფხულის სამი კვირა პრაღაში დაამშვენა ახალგაზრდობის დისპუტებმა, კონცერტებმა, სპორტულმა შეჯიბრებებმა. ფესტივალის დელეგატები ეწვივნენ იმ ადგილს, სადაც ხუთიოდე წლის წინ მდებარეობდა ფაშისტებისაგან განადგურებული სოფელი ლიდიცე. მის ნანგრევებზე გაისმა ხმამრავალი მხურვალე მოწოდება: „ტრაგედია არ უნდა განმეორდეს! უარი — ომს!"

იმ დღეებში კომპოზიტორმა ა. ნოვიკოვმა და პოეტმა ლ. ოშანინმა შექმნეს სიმღერა „სხვადასხვა ხალხის შვილები...", რომელიც დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნად იქცა.

პრაღის ფესტივალის იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს მომდევნო შეხვედრაზე — ბუდაპეშტში. იმხანად, 1949 წელს ინდოჩინეთში ომი ბობოქრობდა. მეორე მსოფლიო ფესტივალის დელეგატები მხურვალედ მიესალმნენ საიფონელ მემანქანეს ლი დუკ ფოს, რომელმაც უნგრეთის დედაქალაქში ფეხით ჩამოსვლას თითქმის ნახევარი წელი მოანდომა. მის უბრალო სიტყვებში იყო ცოცხალი სიმართლე იმის თაობაზე, თუ როგორ მამაცურად ებრძოდა ვიეტნამელი ხალხი ფრანგ კოლონიზატორებს.

მაგრამ ბევრი მისი თანატოლი იტალიიდან და ისრაელიდან, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, თავიანთი მთავრობების აკრძალვის გამო, ვერ მოხვდა ბუდაპეშტში.

ახალგაზრდა იაპონელებმა, რომლებიც ასევე არ გაუშვეს ბუდაპეშტის ფესტივალზე, თვითონ მოაწყვეს ეროვნული ფესტივალი, სწორედ ბუდაპეშტის ფესტივალის მიმდინარეობის დღეებში.

სიმშვიდე არ იყო დედამიწაზე არც მაშინ, როცა მესამე ფესტივალი ახლოვდებოდა. ბობოქრობდა ომი კორეაში, არ ცხრებოდა ომი ინდონეზიაში. აშშ-ში ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა იმათზე, ვინც კომუნისტებისადმი სიმპათიაში შეინიშნებოდა. მაგრამ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის მოწინააღმდეგეები ამაოდ ცდილობდნენ ახალგაზრდობაში უნდობლობის დათესვას. მათი მოქმედების პასუხად საფესტივალო მოძრაობას მხარში ამოუდგნენ პროგრესული საერთაშორისო ორგანიზაციები, პროგრესულად მოაზროვნე გამოჩენილი მოღვაწეები: ბერტრან რასელი, მადლენ რიფო, რენატო გუტუზო, პაბლო ნერუდა, პოლ რობსონი, ნაზიმ ჰიქმეთი, ჰერლუფ ბიდსტრუპი.

და აი, 1951 წელი, ბერლინი. ქალაქი, სადაც აფრიალდა ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების დროშა. მესამე ფესტივალის მონაწილენი გამოვიდნენ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების საწინააღმდეგო მანიფესტაციაზე, ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს — სსრკ-ს, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და, ჩინეთს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ფესტივალზე გაიმართა შეხვედრა კორეის ახალგაზრდობის დელეგატებსა და ამერიკელ სტუდენტებს შორის, რომელზეც ერთ-ერთმა ამერიკელმა ყმაწვილმა განაცხადა, მე სირცხვილი მწვავს ჩემი თანამემამულეების გამო, რომლებიც სიკვდილს თესავენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან ათასობით კილომეტრის მოშორებითო.

1953 წელს ბუქარესტში გამართული მეოთხე ფესტივალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ მიიღეს მიმართვა: „წინ, მსოფლიოს ახალგაზრდობავ!", სადაც გამოთქმული იყო კატეგორიული მოთხოვნა, პატივი ეცათ ახალგაზრდობის უფლებათა ხელშეუვალობისათვის.

„ცივი ომის" ყინულმა თანდათანობით იწყო ლღობა 50-იანი წლების მეორე ნახევარში და ეს კარგად იგრძნობოდა ვარშავის მეხუთე ფესტივალზე.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ მეექვსე ფესტივალი მოსკოვში გაიმართებოდა, ერთნი გულწრფელად მიესალმნენ ამ ცნობას, მეორენი კი შეეცადნენ ცილისწამებათა ნიაღვარი გადმოენთხიათ. ისეთი საოცარი მონაჭორებიც კი შეთხზეს, თითქოს საბჭოთა კავშირში „ბავშვებს ჭამდნენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა




და მაინც, 1957 წლის 28 ივლისს მოსკოვმა გულის კარი გაუღო ფესტივალის მონაწილე 34 ათას ჭაბუკსა და ქალიშვილს. იყო დღესასწაულის გახსნა და ჩვენი ქვეყნის აღმოჩენა... დედამიწის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა ახალგაზრდების თვალით დაინახა ჩვენი ხალხი და დარწმუნდა ჩვენი ქვეყნის გულწრფელ სწრაფვაში კეთილმეზობლობისა და მშვიდობისაკენ.

მეექვსე ფესტივალზე პირველად იქნა ჩართული საბავშვო პროგრამა. ფესტივალის დასრულების შემდეგ 10 ათასი უცხოელი დელეგატი ეწვია ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებსა და ქალაქებს.

მეშვიდე ფესტივალი ჩატარდა ვენაში 1959 წელს. მერვე ფესტივალი — ჰელსინკში 1962 წელს. კაპიტალისტური ქვეყნების დედაქალაქებში ჩატარებული ფესტივალები დასამახსოვრებელი გახდა არა მარტო მეგობრული დისკუსიებით, ტალანტების დათვალიერებით, არამედ, რეაქციონერთა უხეში გამოხდომებითაც.

ვენის ატმოსფეროს ჩრდილი მოჰფინა რეაქციულად განწყობილ სტუდენტთა ერთი ჯგუფის ფესტივალის საწინააღმდეგო გაფიცვამ. ჰელსინკში მთვრალი ახალგაზრდები აწყობდნენ დებოშებს, ცდილობდნენ ჩხუბში ჩაეთრიათ ფესტივალის დელეგატები. დაბოლოს, იყო მცდელობა, მთვრალი მოზარდების ხელით გაენადგურებინათ საბჭოთა დელეგაციის კულტურული ცენტრი. მაგრამ საბჭოთა ახალგაზრდების დელეგაციამ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია დებოშირებს.

60-იანი წლების ბოლო ახალგაზრდობის დიდი პოლიტიკური აქტივობით აღინიშნა. ეს ნათელი გახდა 1968 წლის სოფიის მეცხრე ფესტივალზეც. მისი მთავარი თემა იყო ვიეტნამი, სადაც შემაძრწუნებელ მასშტაბებს მიაღწია ამერიკის აგრესიის ტრაგიკულმა ნაყოფმა.

სოფიის ფორუმის საბავშვო პროგრამის ფარგლებში სიმეას ინიციატივით გაიმალა დისკუსიები ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაციების როლის შესახებ, მოზარდთა მშვიდობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების აღზრდის საქმეში. დისკუსიებში მონაწილეობდნენ მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, ისინი, ვინც ბავშვებზე და ბავშვებისათვის წერენ.

ხუთი წლის შემდეგ კვლავ—ბერლინი. მეათე ფესტივალზე განსაკუთრებით კარგი იყო საბავშვო პროგრამა.

ე. ტელმანის სახელობის პარკში ზეიმში მონაწილეობდა 20 ათასი პიონერი — ტელმანელი და იმ ბავშვთა დელეგაცია, რომლებიც ვილჰელმ პიკის პიონერულ რესპუბლიკაში ისვენებდნენ. თითოეულ მათგანს საშუალება ჰქონდა ეკეთებინა თავისი საყვარელი საქმე. პარკის ტერიტორიაზე მოქმედებდა საბავშვო რკინიგზა, სპორტულ მოედნებზე იმართებოდა შეჯიბრებები, ორიგინალურად იყო გაფორმებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საბავშვო გაზეთების გამოფენა და სხვა.

1978 წელს მეთერთმეტე ფესტივალმა „ამერიკა“ აღმოაჩინა, მისი მასპინძელი გახდა პირველი სოციალისტური სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზე — კუბა. ჰავანის ფესტივალმა თვალნათლივ წარმოაჩინა კუბის რევოლუციის მიღწევები, განსაკუთრებით იმაში, რაც ბავშვების მდგომარეობას ეხებოდა.

და ისევ მოსკოვი. 1985 წლის XII მსოფლიო ფესტივალი. იგი მიმდინარეობდა II მსოფლიო ომში გამარჯვების 40 წლისთავზე, რამაც განსაზღვრა ფესტივალის ომის საწინააღმდეგო მიმართულება. ამჯერად ფესტივალის წამყვანი ლოზუნგი იყო „ომთან ბრძოლა საჭიროა მის დაწყებამდე“.

პლანეტის ახალგაზრდობის ზეიმის ავტორიტეტის შეუნელებელ ზრდაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: პირველმა, 1947 წლის ფესტივალმა თავი მოუყარა 71 ქვეყნის წარმომადგენლებს. 1985 წლის მოსკოვის ფესტივალში მონაწილეობა კი 160 ქვეყნის წარგზავნილებმა მიიღეს.

მაშ ასე, უკან დარჩა თორმეტი ფესტივალი. ვუსურვოთ წარმატება მომავალ მეცამეტე, ფხენიანის ფესტივალს, რომელმაც საფესტივალო მოძრაობის ისტორიაში პირველმა შეაბიჯა აზიაში!

ვ. ბორისოვი

ჟურნალი „ვოჟატი“

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
6 ივნისი 1989



***I** **გამოილებს შრომა ბარაქას, აბა რა იქნება, როცა ისეთი განწყობილებით შეუდგები საქმეს, როგორითაც თამარიკო ლომსაძე მიეშურება სამუშაოდ**

# წინ აუცილებლად უნდა გავიხედოთ

**მ. კარგარეთელი**
ფოტო
**დ. იაკოგაშვილისა**

გორის რაიონი მუდამ განთქმული იყო ბარაქით. ასეთი ხილი, აქ რომ იცის, არსად არ მოდის საქართველოში; აქაური ვაზის ღვინოც სასიამოვნო დგება; აქ მოწეული ხორბლის პურიც გემრიელი ცხვება. ამბობენ, ადგილობრივი ნიადაგი, ზომიერად შეზავებული ჰავა და მზე უწყობენ ხელს, რომ აქ თეთრ ვაშლსაც კი ლოყა უწითლდებაო. კი ბატონო, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ერთის სიკეთეც, მეორისაც და მესამისაც სულ იოლად გაცუდდებოდა, რომ არა გამრჯე, თავისი საქმის ერთგული ქართველი გლეხკაცი. ქართველ სწავლულ მეხილეებსაც ხომ სწორედ მის დიდ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოჰყავდათ ვაშლის, ატმის, კომშის საუკეთესო ჯიშები. მეხილეობას ყოველთვის უპირატესობა ენიჭებოდა გორის რაიონის სოფლებში, და იგი საგრძნობლადაც უწყობდა ხელს აქაური ოჯახებისა თუ მეურნეობების წელმაგრობას. მაგრამ მერე და მერე შუაგული ქართლის სოფლებსაც დაეტყო საერთო სენის ნიშნები, აქაც დაიწყო მიწის სიყვარულისა და ერთგულების გამოლევა; აქ ფეხადგმული გლეხის ჩამომავალი ახალგაზრდობაც ლამის საკუთარი სოფლის სტუმრადღა იქცა. მიწაზე გულაყრილობამ, ქალაქისკენ დაუფიქრებელმა ლტოლვამ, გულარხეინობამ ბევრი გონიერი სოფლის მეურნე ჩააფიქრა, შორს გაახედა, გაახედა და არცთუ სახარბიელო სურათი დაანახვა—ცვლა აღარ ჩანდა, აღარა ჩანდა თოხისა და ბარის დამჭერი, მიწის ბარაქის მომყვანი ახალგაზრდობა.

უთუოდ ამაზეც ფიქრობდა ძევერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვალერიან სუხიშვილი, როცა ამ ოთხიოდე წლის წინათ მეურნეობის ბაზაზე შექმნილ მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობას 48 ჰექტარი ახალგაზრდა ხეხილის ბაღი გამოუყო საპატრონოდ. დირექტორს ბევრმა დაუჭირა მხარი, პირველ რიგში, სკოლის დირექტორმა გურამ აბრამიძემ, მაგრამ დამძრახველიც საკმაოდ გამოუჩნდა: აბა, ამ ბალღებმა როგორ უნდა მიხედონ საქმეს, ნაყოფი როგორ ინასკვება, ისიც კი არ იციან, გასხვლასა და მყნობაზე რომ აღარაფერი ვთქვათო. მაგრამ ვალიკო სუხიშვილს განზრახვაზე ხელი არ აუღია, ის კი არა, მინი-მეურნეობას ხუთი ჰექტარი სახნავ-სათესიც მისცა. სოფელში იცინოდნენ, ჩვენმა დირექტორმა ამ პატარა მეურნეობაზე ზრუნვაში ლამის დიდი მეურნეობა გადაივიწყოსო.

ახლა ისიც ვნახოთ, გოგო-ბიჭები როგორღა გაუძღვნენ საქმეს. მოდით, შარშანდელი ჭირნახული დავუთვალოთ — 148 ტ. ხილი, 104 ტ. ჭარხალი, 37 ტ. ლობიო, 17 ტ. ხახვი, 46 ტ. კომბოსტო. რაო? ხომ უყოჩაღნიათ?

„სახლი ვინც აშენებული ნახა — დედაბოძი თვითონ ამოვიდოდაო" — ქართლში გავრცელებული ეს ანდაზა ჩვენზე ზედგამოჭრილი რომ არ მოვიდეს, ახლა ისიც ვნახოთ, როგორ მოიწიეს ძევერელმა მოსწავლეებმა ასეთი მოსავალი.

თვითონ რომ ჰკითხოთ, ზუსტად ისე ვირჯებოდით, როგორც უფროსებიო — ვსხლავდით, ვწამლავდით, ახალჩაყრილ ხეხილს მანას ვუდგამდით, ხეებს ტანს ვუსუფთავებდით, სასუქი შეგვქონდა, ბოსტნეულს ვმარგლავდით, ვთოხნიდით, ვრწყავდით, რიგს ვიღებდით, რიგს შემოდგომისათვის ვთესავდით, ერთი სიტყვით, ჭირის ოფლს ვიწურავდითო. უფროსები კი იმასაც დასძენენ, მონდომება და იქნებ გულმოდგინებაც ამათ ნამდვილად ჩვენზე მეტი აქვთო. ან კი როგორ არ ექნებათ მონდომებაც და გულმოდგინებაც, როცა საკუთარი უნარისა თუ ძალის გამოცდის ასეთი შესაძლებლობა მიეცათ. ხმარებაში შემოსული გამოთქმა „თვითმმართველობა" რეალურ, ხორცშესხმულ გამოხატულებას ღებულობდა და მათაც ერთი სული ჰქონდათ ჩასწვდომოდნენ მის არსს. დირექტორიც თვითონვე აირჩიეს, დირექტორის მოადგილეც, ბუღალტერიც, ბრიგადირებიც, მერგოლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ. მზარეულებიც.

მზარეულებიო? — ალბათ გაიკვირვებთ. საქმე იმაშია, რომ ძევერელთა სასკოლო მინი-მეურნეობას თავისი სასადილოცა აქვს, რომელიც ძირითადად მოსწავლეების მიერვე მოწეული ხილ-ბოსტნეულით მარაგდება, და არა მარტო ხილ-ბოსტნეულით. მეურნეობას (დიდი მეურნეობა არ გეგონოთ, ისევ სასწავლო იგულისხმება) ხომ თავისი საკურდღლეცა აქვს, კოოპერატივი „ფრინველიც“, სოკოს სათბურიც და საფუტკრეც, რასაც თვითონ მოიხმარებენ, ხომ კარგი, რასაც არა და, დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად ანაწილებენ.

მინი-მეურნეობას თავისი ჩამოყალიბებული დებულება აქვს, რომელშიც ნათქვამია, რომ სასწავლო-საწარმოო მეურნეობაში მოსწავლეები შრომის გაკვეთილების ხარჯზე მუშაობენ. თითოეულ კლასს კვირაში თითო დღე ეთმობა, ისე, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს. მერვე და მეცხრეკლასელებისათვის სამუშაო დღე 4 საათს გრძელდება, მეათე და მეთერთმეტეკლასელებისათვის კი—6 საათს. საბოლოოდ თითოეულ უფროსკლასელს სასწავლო წლის განმავლობაში 35 დღე უწევს მუშაობა, არდადეგებზე კი — 25 დღე. ანაზღაურება ხდება მოსწავლეთათვის დადგენილი შეკვეცილი სამუშაო ნორმების გათვალისწინებით და საბოლოოდ 55-60 დღეში თითოეული მოზარდი 100-დან 130 მანეთამდე თანხას გამოიმუშავებს, მეურნეობის ხელმძღვანელებს კი გამომუშავებულის 15-20% ემატებათ. ყოველი მოსწავლის სახელზე შემნახველ სალაროში გახსნილია ანგარიში. ამ ანგარიშზე ირიცხება თითოეულის მიერ გამომუშავებული თანხა.

ალბათ იოლი საანგარიშოა, საშუალოდ რამდენი დაგროვდება შემნახველი სალაროს ანგარიშზე ძევერელი მერვეკლასელის მინი-მეურნეობაში ოთხი წლის მანძილზე, სკოლის დამთავრებამდე. ეს არც ბევრია, მაგრამ არც ცოტა და მაინც მატერიალური სტიმული აქ გაცილებით ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ადამიანური, თუ გნებავთ, ზნეობრივი. თუნდაც ასეთი მონაცემი ავიღოთ. მინი-მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე მთლიანად გამოიცვალა ძევერის საშუალო სკოლაში გათბობის სისტემა (სამუშაოები 6000 მანეთი დაჯდა). მომავალში სავარაუდო მოგებამ 40 ათას მანეთამდე უნდა შეადგინოს, ეს კი იგივე სკოლის ფინანსური დამოუკიდებლობის საუკეთესო წანამძღვარია. მოზარდების მიერ მოწონებული შრომითი საქმიანობის ეს ფორმა სულ ახალ-ახალი შინაარსით ივსება, სულ მეტი იდეა ისხამს ხორცს. აი, თუნდაც, თავიდან ნავარაუდევი არ იყო მოსწავლეების





როგორც გამოცდილ მექანიზატორს, ისე ემორჩილება ტრაქტორი სოსო გარსევანიშვილს

აი, ახლაც მინი-მეურნეობაშია ვალიკო სუხიშვილი, მოსწავლეებთან ერთად უნდა დახედოს ბაღს — იქნებ რამეა საჭირო

მიერ ხის ტარის დამზადება-შეკეთება. მაგრამ გაჩნდა კარგი მოსაზრება და რეალურ საქმედაც იქცა — ახლა ბიჭები სკოლის სადურგლო სახელოსნოში ყუთებსაც თვითონვე კრავენ და თოხის თუ ბარის ტარებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



სულ მალე დაეტყო ხეხილს გასხვლის სიკეთე: უმარჯვენია როზა ავაქოვს

თვითონვე ამზადებენ. არც საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი იყო გათვალისწინებული მინი-მეურნეობისათვის, მაგრამ საქმის მსვლელობამ დღის წესრიგში დააყენა მისი არსებობის საკითხი და ახლა აქ ნამდვილი ტრაქტორდრომიცა აქვთ, სადაც მოსწავლეები ტრაქტორისა და მისაბმელი მანქანების მართვის გარდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთებასაც სწავლობენ. თავიანთი შრომის ნაყოფსაც თვალნათლივ ხედავენ მეურნეობის წევრები და გაწეული გარჯის წილ უფროსების მხრიდან გამოჩენილ ზრუნვასაც — სკოლაში შეიქმნა მემცენარეობისა და მანქანათმცოდნეობის კაბინეტები. მოსწავლეთა განკარგულებაშია საცურაო აუზი. შენდება სპორტული კომპლექსი... და ბოლოს — სულ ახლახანს მიღებული ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატობაც მათი საქმიანობის ღირსეული დაფასებაა.



საფინანსო საკითხები მაია გარსევანიშვილის გარეშე არ წყდება

ალექსანდრე დიდებაშვილი

## დიდთა ზეობისა

დედა-თბილისის დამამშვენებელი
მობრძანდა დავით აღმაშენებელი.
გადაიხადა დიდგორის ბრძოლა,
მტრისთვის მოუგვრია
შიში და ძრწოლა.
უსაგზლებიაო მოყვრისთვის სითბო,
აზრისთვის — სიცხოვლე,
სიტყვისთვის — სითბო.

ძმობით შეუკრავსო ამერ-იმერი,
დღეს მისით მზიურობს
ქართველი ერი.
მცხეთიდან ხეივნით მობრძანებულა,
მთაწმინდა უფრორე ამაღლებულა.
ხალხი — მონაგარი — მუხლს გიყრის,
დავით,
დიდთა ზეობისა ხარ სალოცავი!

## პაატა სააკაძე

შიშის კანკალი
ვერ იხსნიდა
პატარა ქართველს,
თვალს უსწორებდა
მძვინვარე შაჰს
არწივის მართვე...

ენატრებოდა
სამშობლო ცა,
მისი მთა-ბარი,
მშობელი ხალხის
გადარჩენის
ტკბილი ამბავი.

ესიზმრებოდა
გმირი მამის
კვეთება მტერთან
და სევდიანი,
კალთათბილი,
მზრუნველი დედა.

შიშის კანკალი
ვერ იხსნიდა
პატარა ქართველს, —
მამულს იცავდა
გამძლეობით
არწივის მართვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი
იოსებ სამსონაძე

ფანტასტიკური მოთხრობა

„ამ ქვეყნად გამოვლენილი სიკეთისა და
ბოროტების ჯამი მუდმივი სიდიდეა“.
ვივეკანანდა

## 1. ოპერატორი რევ მირირი

— უფროსი ოპერატორი რევ მირირი ვარ! მოვედი, რათა ჩავიბარო მორიგეობა!

კედელს მრავალფეროვანმა მთრთოლვარე ტალღამ გადაურბინა. უფროსმა ოპერატორმა იგრძნო, როგორ გაუარა ამ ტალღამ სხეულში. მერე კედელს თავდაპირველი ფერი დაუბრუნდა — ღია ნაცრისფერი.

— პაროლი!

შეუძლებელი იყო დაგედგინა, საიდან მოდიოდა ხმა. იგი ისმოდა ჭერიდან, იატაკიდან, კედლებიდან. უფროს ოპერატორს ეს არ გაკვირვებია — იცოდა, რომ გიგანტური კომპიუტერის საკონტროლო ნაკვეთურში იმყოფებოდა. ხმა მონოტონური, უსახო, ლითონური იყო — ისეთი, როგორიც ყველა ელექტრონული რობოტის ხმაა.

— მზე სხივოსანი!

— შედი!

უფროსმა ოპერატორმა ნაბიჯი გადადგა და კედელი გაიარა. ახლა იგი ვეებერთელა ცილინდრულ დარბაზში იმყოფებოდა. რევ მირირი კარგად იცნობდა ამ დარბაზს, მაგრამ კიდევ ერთხელ გააოცა მისმა გრანდიოზულობამ, ისევ გააოგნა გაშლილმა სივრცემ, რომლის ერთბაშად აღქმა შეუძლებელი იყო. დარბაზის ცენტრში პლატინისფრად მოლაპლაპე უზარმაზარი ნაგებობა იდგა. მისი ზემო ნაწილი თაღოვან ჭერს ებჯინებოდა და, ეტყობოდა, გარეთ, ატმოსფეროშიაც გადიოდა.

— პაროლი!

— ვარსკვლავეთი!

— შეგიძლია დაიკავო შენი ადგილი!

უფროსმა ოპერატორმა მომცრო ბაქანზე შედგა ფეხი და თითი ოდნავ შეახო წითელ ღილაკს. ლიფტი ხუთიოდე მეტრის სიმაღლეზე შეჩერდა. რევ მირირი თაღიანი კარის წინ აღმოჩნდა. მსუბუქად მიაწვა, შეაღო და ოთახში შევიდა. სავარძელი ცარიელი იყო — ოპერატორმა, რომელმაც მორიგეობა დაამთავრა, ის-ის იყო, გაიხურა მოპირდაპირე კარი. ოპერატორები არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს.

— პაროლი!

— მე რევ მირირი ვარ, უფროსი ოპერატორი!

— შეუდექი მუშაობას!

უფროსი ოპერატორი რევ მირირი მუშაობას შეუდგა.

## 2. ჩიხში

სიკომეკოს პროგრამის მე-2
წელი, 210-ე დღე, მე-13 საათი.

ახზი დუმდა. მარტო იმიტომ კი არა, რომ ულმერთოდ დაიღალა და იოტისოდენა სურვილიც კი არ გააჩნდა საუბრისა, ან კიდევ ყველაფერი, რაც ხდებოდა, ნათელი და გარკვეული იყო მისთვის. არა, არც — ერთი და არც — მეორე. საქმე ის არის, რომ დღემდე, მთელი მათი მრავალწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში, ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, პირველს ახზს წამოეწყოს საუბარი — სერიოზული საუბარი, თორემ „აქედან მოუარე“, „გზა გადაუჭერი“, „ბავშვს მიხედე“, „ის ნაგლეჯი მომაწოდეო“ და სხვა ამგვარი უმნიშვნელო რამ რა სახსენებელია!

ცამდე აწვდილი არაუკარიის ძირას ისხდნენ. არაუკარია ბებერი იყო, თითქმის ორი ათასი წლისა, მაგრამ ჯერ კიდევ ღონივრად იდგა ფეხზე. კრრა მარცხენა გვერდით ხის ხაოიან ტანს მიყრდნობოდა, თავი მიებრუნებინა და ნაღვლიანი მზერით იმ ბილიკს გაჰყურებდა, რომელიც ახლახან გამოიარეს. თავად ბილიკი აღარ ჩანდა, ჩამოწოლილ სიბნელეს ჩაეყლაპა. არაუკარიის ძირშიაც ბნელოდა, რაღა თქმა უნდა, თანაც ოდნავ უფრო მეტად, ვიდრე გაშლილ ველზე — ხის აჟურული ვარჯი, ცაში ატყორცნილი ვეება ქოლგას რომ მიაგავდა, ნაწილობრივ მაინც ულობავდა გზას ცარგვალზე გაფენილ მოციმციმე ვარსკვლავთა შუქს, თუმცა იმდენად კი არა, რომ ცოლ-ქმარს ერთმანეთის თვალებში ჩახედვა ვერ მოეხერხებინა.

„ესეც ასე, — მძიმედ ამოიხვნეშა კრრამ. — ბოლო ბილიკიც ჩამოვათავეთ“.

ახზს მთელ ზურგზე, ხერხემლის გასწვრივ, პირველი მალიდან ბოლო მალამდე, თრთოლვამ გადაუარა.

„ჰო, — ძლივს მოახერხა პასუხი. — ბოლო... ბილიკი...“

დასავლეთით, თითქმის ზუსტად იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ მზე ჩაესვენა, რუხი ცის ფონზე ბუნდოვნად იხატებოდა კონუსური მთის სილუეტი. მთის წვერს ვეება სოკოსავით დასდგომოდა თავს კუპრისფერი კვამლის მაღალი სვეტი, რომელსაც ზოგჯერ სისხლისფრად აელვარებდა კრატერიდან ამოტყორცნილი ლავისა და გავარვარებული აირების ათინათი. აი, იქ, მრისხანე ვულკანის სიახლოვეს იყო და სამუდამოდ იქვე დარჩა მათი ყოფილი სახლი — მშობლიური ხეობა.

კრრამ ხმადაბლა ამოიხვნეშა, ვულკანის სილუეტს მზერა მოსწყვიტა და ცას ახედა. ერთხანს თვალმოუშორებლად აკვირდებოდა ვარსკვლავებს.

„ჩვენი დროც ახლოვდება. ცოტაც და, ჩვენც დავადგებით ყველაზე უგრძეს, უდასაწყისო და უდასასრულო გზას, ახზ“.

„ჰო, მაგრამ...“

„ხომ არ გეშინია?“

„მეშინია?! — ახზს რომ სიცილი შესძლებოდა, ალბათ მწარედ ჩაიხითხითებდა. — შიში რას მიქვიან! საამისოდ კარგად უნდა მიცნობდე. მე სხვა რამ არ მასვენებს“.

„რა?“

ახზმა თავი დახარა, მიწას ჩააშტერდა, თუმცა საეჭვოა, თუნდაც გაჩახჩახებული დღე ყოფილიყო, რამე დაენახა იქ, ისე გაყინვოდა მზერა.

„რა და... ვაითუ ტყუილად გავიმეტეთ მთელი საგვარტომო და თვითონაც უმიზეზოდ, არაფრის გულისთვის ვიღუპავთ თავს. ჩვენი შვილები...“

ლიც შეწყდა. ახლა კი ჭაობის მხრიდან მოისმა ბუყბუყი. ჭაობი აქვე იყო, ათიოდე ნაბიჯზე. კუმ ან ნიანგმა თუ ჩაიყურყუმალავა სიღრმეში.

„შენ საბჭოს წევრი ხარ... უფრო ზუსტად, საბჭოს წევრი იყავი, კრრა... და ყველაფერი იცი, — განაგრძო ახზმა. — მესმის, რომ აქამდე უფლება არა გქონდა, ბოლომდე გაგემჟღავნებინა ის საიდუმლო მიზეზი, რაც ჩვენს თვითგანადგურებას დაედო საფუძვლად. ახლა? ახლა ხომ არაფერი შეიცვლება, თუ იმ შენს ძვირფას საიდუმლოს საკუთარ მეუღლეს გაუმჟღავნებ? ა?“

„კარგი, ბატონო, — წამიერი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა კრრა და ცალი თვალით ისევ ახედა ცას. — დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც მოვახერხებ ცნობისმოყვარეობა დაგიკმაყოფილო და გაგანათლო ამ საკითხში, რაკი უამისობა ვერ აგიტანია“.



„ჯერ ერთი, — მოუთმენლად შეაწყვეტინა კრრამ, — გადაწყვეტილება მარტო მე და შენ არ მიგვიღია, და რაკი იგი კოლექტიური გადაწყვეტილებაა, უსიტყვოდ და უყოყმანოდ უნდა შესრულდეს; და მეორე: მთელ დედამიწაზე, რამდენადაც ვიცი, ჩვენი საგვარტომოდან ორნიღა დავრჩით, მე და შენ, და ძალიანაც რომ მოვინდომოთ, სულერთია, დაკარგულის აღსადგენად, სახეობის შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად ველარ ვიკმარებთ უკვე... თანაც, ოცდაათი შვილი, ჩვენი სისხლი და ხორცი, უნუგეშოდ გავწირეთ და ახლა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე დავიწყოთ ფიქრი? სად გაგონილა...“

ახზმა საყვედურით გადააქნია თავი.

„ისევ ვერ გამიგე... მე, უბრალოდ, ბრმად არ მინდა წასვლა, თორემ... დალოცვილო, მეორედ ხომ აღარ მოვალ ამ ქვეყნად და ნუთუ უფლება არა მაქვს ისე წავიდე, რომ ყველაფერი ვიცოდე? ან კი რა დაშავდება ამით?“

არაუკარიას ვეება ფრინველმა ჩაუფრინა გვერდით. დინჯად იქნევდა იალქნებივით გაშლილ უზარმაზარ ფრთებს, თითოეული მათგანი ოთხი მეტრის სიგანე მაინც იქნებოდა. საკმაოდ დაბლა მიფრინავდა და ხის ქვეშ მისი ფრთებით მობერილმა ნიავმა გაიშრიალა. ფრინველი სწრაფად მიეფარა თვალს და ნიავის შრია-

„უცნაური ხარ. ხუმრობაც კი შეგიძლია ასეთ წუთებში“.

„სულაც არ ვხუმრობ... მაშ ასე, მომისმინე“.

ჭაობის მხრიდან ისევ მოისმა ხმაური. ახლა რაღაც დააბიჯებდა ნაპირზე — აშკარად ისმოდა ტალახის ჭყაპაჭყუპი, ერთ-ორჯერ ფიჩხმაც გაიტკაცუნა. მერე ყველაფერი მიწყნარდა.

„მაშ ასე, — გაიმეორა კრრამ. — შენ, უეჭველია, კარგად იცი, რომ ჩვენი შორეული წინაპარი პირველად ას ორმოცდაათი-ას სამოცი მილიონი წლის წინათ გამოჩნდა დედამიწის ზურგზე, ხოლო გამოჩენიდან სულ რაღაც ათიოდე მილიონი წლის შემდეგ პლანეტის სრულუფლებიან მბრძანებლებად ვიქეცით. ჩვენი ძალა ძლიერი კონკურენტების უყოლობაში, მოდგმის მრავალსახეობაში, აგრეთვე სწრაფი გამრავლებისა და გარემო პირობების ცვალებადობასთან ადვილი შეგუების უნარში იყო... თუმცა ეს უნარი, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ამ, ერთი შეხედვით, უსუსურ ძუძუმწოვრებს ჩვენზე უფრო უხვად ჰქონიათ მონიჭებული“.

„ღმერთო, როგორ მეზიზღებიან! — კბილები გააკრჭიალა ახზმა. — ჩემი ნება რომ იყოს... უსუსურებსო! ჩვენ კი ხელი მოგვითავეს და...“

„აი, აქ სცდები სწორედ, ახზ! — კრრამ წუთით იყუჩა და განაგრძო: — თუ გინდა იცოდე, ყველაფერი იქიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის, — ცისკენ ანიშნა თავის მძიმე აქნევით. — თორემ, როგორც აქამდე გვიცხოვრია გვერდიგვერდ, როგორმე მომავალშიაც ვიცხოვრებდით“.

„რანაირად? ჩვენს ვეგეტარიანელ თანამოძმეებს საკვები გაუნადგურეს, გადაშენების გზაზე დააყენეს და აგერ ჩვენც იმავე გზას გაგვიყენეს — უსარჩოოდ დაგვყარეს და რა გვექნა, ერთმანეთს ხომ არ დავჭამდით გონიერი არსებები?“

„სცდები-მეთქი, აკი გეუბნები, ახზ. რამდენი ძუძუმწოვარა დაბოგინობს ტყეში, მთებში თუ ველებზე, ხომ დაკვირვებიხარ? განსაკუთრებით კი ამ ორასი-სამასი წლის განმავლობაში როგორ მოჰრავლდნენ, ლამის თავზედაც დაგვასხდნენ“.

არაუკარიის რომელიღაც ტოტს ვეება გირჩა მოსწყდა, ტრიალ-ტრიალით წამოვიდა და ყრუდ დაებრეგვა მიწას.

„ჭამა მაინც შეიძლებოდეს მაგათი...“

„აკი ჭამდნენ კიდეც ჩვენი წინაპრები. მაგრამ მერე **აგვიკრძალეს** და რაღა გვექნა... აი, თითქმის სამასი წელია, ჩვენს მოდგმას თითი არ დაუკარებია მაგათთვის. **აგვიკრძალეს** და იმიტომ“.

„ვინ აგვიკრძალა, ვინ?!“

კრრამ ისევ ცისკენ ანიშნა თავის აქნევით.

„**იმათ**“.

„კი მაგრამ, რატომ?!“ — ალბათ, ლაპარაკი რომ შესძლებოდა, განწირული ხმით იკივლებდა ახზი.

„იმიტომ, რომ ჩვენი ცივილიზაცია ჩიხში მოქცეული ცივილიზაციაა. გაიგე, ახზ? დიდი რამე, თუ ვაზროვნებთ და შეგვიძლია ერთმანეთს გავაგებინოთ ეს ნააზრევი! მილიონი წელია არ შევცვლილვართ, რანიც ვიყავით, იგივენი დავრჩით, წინ ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. ვჭამთ, ვჭამთ, ვჭამთ... მერე? მერე რაღა იქნება? რა და — არაფერი. აი, მე და შენ, აგერ ორასი წელია ერთმანეთს ვიცნობთ, ორასი წელია ერთად ვცხოვრობთ. ორასი წელია ვარსებობთ, ვჭამთ, ვმრავლდებით. ეს არის და ეს...“

„მაშ, სხვა რა უნდა გვექეთებინა?!“

„შენი არ ვიცი, მე კი ყელში ამომივიდა სულ ერთი და იგივე“.

„ვთქვათ, მეც. მაგრამ სხვა რა უნდა გვექნა-მეთქი, მეტი რა შეგვეძლო?“

„საქმეც ეგაა, რომ სხვა არაფერი შეგვიძლია. ჰოდა, ახლა სხვები მოდიან, ისინი დაიკავებენ ჩვენს ადგილს, — მშვიდად განაგრძო კრრამ. — ხედავ, გამრავლებისა და მუტაციის როგორი უნარი აქვთ? აი, იმ უცნაურ ოთხფეხებს თუ მიაქციე ყურადღება, ხეებზე რომ ცხოვრობენ? როგორი მოქნილები არიან, რა მარჯვეები! რა საოცარი სისწრაფით ვითარდებიან! ყოველი თაობა წინასთან შედარებით მთელი თავით მაღლა დგას. ჩვენ კი არ გვგვანან... ეტყობა, მაგათ და მაგათ მსგავსთ ეკუთვნით მომავალი... განა არა, ჩვენ კიდევ შეგვეძლო გვეარსება ასი, ორასი, ათასი წელიც... მაგრამ ეს იქნებოდა შიმშილის, დამცირების, დაკნინების, დეგრადაციის წლები... მე კი, ჩემდათავად, არც გველის როლი და ბედი მხიბლავს, არც ხვლიკის, კუს და ნიანგისა, ყველაფერს რომ ეგუებიან და ჭაობისპირა ლერწამივით ილუნებიან იმ მხარეს, საითაც ნიავი დაუბერავს. ჩვენ მეტისმეტად დიდხანს ვიყავით დედამიწის ბატონ-პატრონნი, ძალზე შევეჩვიეთ მბრძანებლის როლს და ახლა, ჩემო კარგო, ვერა, მონობას ველარ შევეგუებით! ამიტომაც გადავწყვიტეთ წასვლა. და სავსებით დროული და მართებული იყო საბჭოს გადაწყვეტილება“.

„ოცდაათი შვილი... — დაიკვნესა ახზმა. — ოცდაათი...“ — გაიმეორა.

„ჰო, ოცდაათი შვილი და ასიათასობით თანამოძმე... ახლა კი — ჩვენც. დროა, ახზ. ნულარ ვაყოვნებთ. წავედით“.

„კი მაგრამ, რა ესაქმებათ **იმათ** ჩვენთან, კრრა? მითხარი ერთი, ღვთის გულისათვის, რა უფლებით ერევიან ჩვენს საქმეებში, რატომ გვახვევენ თავს თავიანთ ნება-სურვილს?! რატომ, კრრა, რატომ?!“

„არ ვიცი, ახზ, არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე, უკვე ყველაფერი სულერთია ჩემთვის. ადექი, წავიდეთ“.

ისინი წამოიმართნენ, ჭაობისკენ შებრუნდნენ და ნაბიჯი გადადგეს. მიწა ზანზარებდა მათ ფეხქვეშ. წინ კრრა მიაბიჯებდა. კარგად იცნობდა ამ ბილიკს — იგი შუაგულ ჭაობამდე მიდიოდა და მერე უცებ იკარგებოდა.

ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდა. არც ვეება პტერანოდონი დაფრინავდა ღამეულ ცაში, არც ინდრიკოტერია დააბოტებდა ჭაობისპირა ლელიანში, აღარც კუ და ნიანგი აბუყბუყებდნენ წყალს. ნიავიც კი არ ქროდა. მარტო მოციმციმე ვარსკვლავები იყვნენ იმის მოწმენი, თუ როგორ ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს პლანეტის უკანასკნელი დინოზავრები.

## 3. შემთხვევა გამოქვაბულთან

სიკომეკოს პროგრამის მე-4 წელი, 293-ე დღე, მე-7 საათი.

გრი გამოქვაბულის შესასვლელთან იჯდა და ობსიდიანის ბასრი დანით აპრიალებდა თითქმის უკვე მოთავებულ შუბის ტარს. გუშინ ბიზონზე ნადირობისას გადაუტყდა თავისი მრავალნაცადი შუბი. ახლა ხორცი თავსაყრელი აქვს მის ოჯახს, მაგრამ ადრე თუ გვიან ხორცი შეიჭმება და მარაგს განახლება დასჭირდება. მაშასადამე, შუბი დროზე უნდა მოათავოს. ისედაც, უშუბო მონადირე სად გაგონილა!

ნაი თავისი უმცროსი ქალ-ვაჟით დილაადრიან შეჰყვა ტყის ბილიკს. შემოდგომა უკვე დადგა და მდიდარია ახლა ტყე, ხილითაა სავსე. მოაგროვებენ, დაჭრიან, ცხვრის ნაწლავისაგან გამოყვანილ მაგარ ძაფზე ააგებენ და გაახმობენ. გრძელ ზამთარში, როცა ხორცის მარაგი ყუაზე მიდგება, დროდადრო ჩირითაც გადიან ხოლმე იოლად გამოქვაბულის ბინადარნი.

ჯი არ გაჰყვა ტყეში დედასა და და-ძმას. როგორც ყოველთვის, ახლაც მარტოკა დაეხეტება ტყე-ღრეში უთავბოლოდ. დიდი ხანია, აკვირდება გრი უფროს ვაჟს. რაღაცნაირად უცნაური ბიჭი დადგა, არც ერთ მეგვარტომეს არა ჰგავს, თითქოს გრის შვილი არც კი იყოს. დადის, დადის, ხან ცას მიშტერებია, ხან ჩაიჩოქებს და ჭიაღუას ფუთფუთს ადევნებს თვალს, ხანაც გაირინდება, ტყიდან მონაბერი სიოს ჩურჩულს დააყურებს და არის ასე გარინდული კარგა ხანს.

ჯერ შუბი არ აუღია ხელში და მამას სანადიროდ არ გაჰყოლია, არა და, ცამეტი გაზაფხული მოილია უკვე. ჯანი აქვს, იმ დღეს მარტოკამ გადააგორა ღვარცოფის ჩამოტანილი ვეება ლოდი. არა, განა შუბს ვერ ხმარობს, ზუსტი თვალი და ძლიერი მკლავი აქვს. მაგრამ ეგ არის, ნახშირი უფრო ემარჯვება: ჩაბღუჯავს ხელში, მიადგება პიტალო კლდეს და ხან გაქცეულ ბიზონს გამოხატავს ზედ, ხან გაფრენილ ხოხობს, ხან ფერდში შუბგარჭობილ, ტკივილისაგან გადარეულ ტახს. ნამდვილი გეგონება, ისეთებია.

ახლა? ახლა რას აკეთებს, ნეტავ?

გრიმ თავი ასწია. ნაკადულს გაღმა, მწვანედ მოხასხასე ფერდობზე ნელი ნაბიჯით ჩამოდიოდა ჯი. ხელში თხილის მომსხო ტოტი ეჭირა. მოდიოდა და თან ფოთ-

ლებს აცლიდა ტოტს. ნაკადულს რომ მოადგა, წვერო წაატეხა და წყალს გაატანა. ნაკადული ისე გადმოიარა, ძირს არ დაუხედავს. გასხეპილ ტოტს ათვალიერებდა უცნაური ინტერესით, დრეკდა და ასწორებდა, დრეკდა და ასწორებდა.

„ისევ ამოიჩემა რაღაც", — გუნებაში ჩაიცინა გრიმ.

— რა? — ჰკითხა შვილს, როცა ბიჭი გამოქვაბულთან მივიდა და შეჩერდა.

ჯიმ მხრები აიჩეჩა. ჯოხი დაიქნია, ზუზუნით გაჰკვეთა ჰაერი. ისევ მოდრიკა, ცალ ბოლოს ხელი გაუშვა. თხილის მოქნილმა ჯოხმა გაიზუზუნა და გასწორდა. ჯი შორიახლო, სამიოდ ნაბიჯზე ჩამოუჯდა მამას.



გრიმ თავი გადააქან-გადმოაქანა და მუშაობა განაგრძო. დროდადრო ცერად გახედავდა ხოლმე ჩაფიქრებულ შვილს.

გამოქვაბულზე გადმოყუდებული კლდის წვერზე ორბი შემოჯდა. ტიტველი კისერი წაიგრძელა, ქვემოთ გადმოიხედა. მერე თავი მხრებში ჩარგო და გაქვავდა.

ჯის ზევით არ აუხედავს.

სიმაღლე და მხარ-ბეჭი მამისეული დაჰყვა ბიჭს. თვალები დედისას მიუგავდა — თაფლისფერი, დიდრონი თვალები ჰქონდა. ტუჩ-პირის მოხაზულობითა და შუბლის მოყვანილობით კი ორივესგან განსხვავდებოდა: ტუჩები — მკვეთრად მოხაზული და ფერიანი, კბილები — არცთუ ისე გამოშვერილი, შუბლი — მაღალი და ნაკლებ დაქანებული.

ჯი ნაკოცონართან დაგდებულ პატარა, ბოლოწამწვარ ჯოხს დასწვდა. იცნო — გუშინდელი შამფური იყო, თავისი ხელით გამოთალა მისმა უმცროსმა ძმამ. შუბივით შემართა ჯოხი. ისევ დაუშვა, მაგრამ ძირს არ დაუგდია, მიწაში ჩაარჭო წვერით. ახლა მისი მზერა მამის მუხლზე გადადებულ, ცხვრის ნაწლავისაგან გამოყვანილ მსხვილ ძაფს მოხვდა. და უცებ გონება გაუნათდა.

— ო! — შესძახა ხმამაღლა.

— რა?! — მოულოდნელობისაგან შეხტა გრი.

— ზზუუ! — ჯოხის გაზუზუნებას მიბაძა ხმით ჯიმ, თვალებგაბრწყინებული წამოხტა, მამის მუხლზე გადაფენილ ძაფს დასწვდა, თავის ქვას დაუბრუნდა, დაჯდა. თხილის ჯოხის ერთ ბოლოს ძაფი მიაკვანძა, მერე ჯოხი მოღუნა და ის იყო, მეორე ბოლოზეც უნდა გამოება, რომ უცებ ორბმა დაიყაშყაშა, მყისვე კლდის წვერს მოზრდილი ქვა მოსწყდა, ტრიალით წამოვიდა და ყრუ ჩახუნით თავი გაუპო ჯის.

მშვილდისრის გამოგონება კიდევ რამდენიმე ათასი წლით გადაიდო...

## 4. სიკვდილი ბაბილონში

სიკომეკოს პროგრამის მე-4 წელი, 294-ე დღე, მე-7 საათი, 54-ე წუთი.

ნადიმი მალე მიაღწევს აპოგეას.

სუფრა უკვე იავარქმნილია.

ლურჯი შორენკეცით მოპირკეთებული, მზისფერსვეტებიანი და ოქროსფრიზებიანი ჭერმაღალი დარბაზი უთვალავი ჩირაღდნითაა გაჩახჩახებული, მაგრამ მაინც სიზმარეულ ჩვენებას ჰგავს, ისეა ავსებული სურნელოვანი კვამლით, მწვადის თუ ცხელ-ცხელი მოხარშული ხორცის ოხშივრითა და გვარიანად შეზარხოშებულ, მკერდმოღეღილ და ოფლში გახვითქულ მონადიმეთა მრავალხმიანი ხორხოცით.

მეფემ ღიმილით მოავლო თვალი მეგობრებსა და თანამებრძოლებს.

მას თითქმის არ მოჰკიდებია ღვინო. წინ, მაგიდაზე, ალისფერი სითხით გალიცლიცებული ჰერაკლეს თასი უდგას. მეფე-სარდალი ახლა წამოდგება და ახალ სადღეგრძელოს იტყვის — მაკედონური იარაღის ძლევამოსილების სადღეგრძელოს. და კიდევ ერთხელ შეახსენებს ერთგულ მეგობრებს სახვალიო მიზანს: ბედის ნებიერი, სიჭაბუკის ასაკშივე „მოკვდავ ღმერთად" მონათლული მბრძანებელი ახალ სისხლისმღვრელ ომებს იწყებს სამხრეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის მიმართულებით.

მთელი მსოფლიო უნდა განერთხოს ფერხთა მისთა ქვეშე!

ამიტომ ომი, რომელიც ფილიპე მეორის სახელოვანმა ვაჟმა ამ ცამეტი წლის წინათ დაიწყო, კვლავ და კვლავ გაგრძელდება.

ამ ცამეტი წლის წინათ ხელისგულისოდენა მაკედონიიდან, ნეკის ფრჩხილისტოლა პელადან დაიძრა ხმალამოწვდილი ოცი წლის ჭაბუკი, მაგრამ უკვე ბრძოლებში ნაცადი და ნაწრთობი მამაცი მხედართმთავარი. ახლა კი უბრწყინვალესი ბაბილონიდან, მსოფლიოს ცენტრიდან, სამყაროს დედაქალაქთა დედაქალაქიდან დაიწყება დიდი მთავარსარდლის ძლევამოსილი სვლა.

ამ უვრცეს დარბაზს უთუოდ ახსოვს მისი ამგების, სახელოვანი ხელმწიფის, ნაბუქოდონოსორ მეორის მბრძანებლური ხმა.

დღეს იგი კიდევ უფრო სახელოვან ხელმწიფეს, დიდ ალექსანდრე მაკედონელს მოუსმენს.

ცამეტი წელი!

რამოდენა გზა განვლო მაკედონურმა მხედრობამ ამ ხნის განმავლობაში!

რამდენი სამეფო და პროვინცია გადათელა და იავარჰყო — საბერძნეთი, ფრიგია, კილიკია, ლიბია, ეგვიპტე, ბაბილონი, არმენია, პართია, მიდია, პერსიდა, სპარსეთი, სოგდიანა, ინდოეთი...

რამდენი ქალაქი დააქცია და მიწასთან გაასწორა — თებე, მემფისი, ეფესი, დამასკო, ნისიბისი, ღაზა, ეკბატანა, სუსა, ბაბილონი, პერსეპოლისი, მარაყანდა, თერმეზი...

რამდენი სისხლი დაიღვარა — თებეს, გრანიკის, ისოსის, გავგამელას, პერსეპოლისის, ჰიდასპეს, ღაზის ბრძოლებში...

გრანიკთან 22 ათასამდე ჯარისკაცი დაუხოცეს მაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონელებმა სპარსელებს, თავად 34 დაკარგეს მხოლოდ. ისოსთან 11 ათასი სპარსელი მოისრა, მაკედონელთაგან მხოლოდ ოციოდე კაცი დაეცა გმირული სიკვდილით.

გავგამელასთან 47 ათასი მეომარი ჰყავდა ალექსანდრეს, დარიოს მესამეს — თითქმის სამჯერ მეტი — 140 ათასი. მაინც აჯობა „მოკვდავმა ღმერთმა“ აღმოსავლეთელ გვირგვინოსანს: 50 ათასი აზიელის გვერდით 500-ოდე ევროპელი თუ იწვა ბრძოლის შემდეგ გავგამელას სისხლით მორწყულ ველზე, მეტი არა.

ჰიდასპესთან ალექსანდრემ 15 ათასი მეომრით დალეწა ინდოელთა 30 ათასი ქვეითი, 4 ათასი მხედარი, 200 საომარი ეტლი...

ყოველივე ამის გახსენებაზე ტუჩის კუთხეებში ღიმილი ჩაუდგა მეფე-სარდალს.

იოლა შემოვიდა დარბაზში, მეღვინეთუხუცესი. დაკვირვებული მზერა მოავლო სუფრას და გაბრუნდა...

ყოველ დიდ გამარჯვებას გრანდიოზული ნადიმით აღნიშნავდნენ ხოლმე. მაგრამ შარშანდელს მაინც არც ერთი არ შეედრება თავისი ბრწყინვალებით — უზარმაზარი, კოლოსალური საქორწინო დღესასწაული გაამართვინა, ისეთი, მანამდე კაცთაგანს რომ არ გაუგონია: ათი ათასმა მაკედონელმა მეომარმა ათი ათას ეშხიან სპარსელ ქალზე იქორწინა ერთდროულად...

ალექსანდრე წამოდგა. წითელი ღვინით გალიცლიცებულ ვეება სასმისს — ჰერაკლეს თასს — ორივე ხელი დაავლო და მკერდის სიმაღლეზე ასწია.

ახლა იგი ილაპარაკებს მაკედონური იარაღის ძლევამოსილებაზე, თავის დიად მისიაზე, მსოფლიო იმპერიაზე, იმ ლაშქრობებზე, ხვალ-ზეგ რომ დაიწყება.

სუფრა მიწყნარდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა. მარტო ჩირაღდნების ტკაცატკუცი არღვევს დავანებულ დუმილს.

ალექსანდრემ თვალი მოავლო მონადიმეებს. ყველანი მას მისჩერებიან. აგერ ნეარქოსი, გვერდით ანტიპატროსი უზის, ცოტა მოშორებით სელევკე და პევკესტა სხედან, ხელმარცხნივ — პითონი, ლეონატოსი, ევმენე. სხვებიც აქ არიან, ერთგული სარდლები, ნაცადი თანამებრძოლები, მეგობრები, შიგადაშიგ — უთუოდ — მტრებიც.

ახლა მეფე მათ თავის მეფურ სიტყვას ეტყვის. ეტყვის, რომ....

სისხლსა ჰგავს ჰერაკლეს თასში მოლივლივე ღვინო...

ახლა...

უცებ ალექსანდრემ ძლიერი ტკივილი იგრძნო ზურგში, ბეჭებს შორის, თითქოს ჰოროლი აძგერესო მთელი ძალით. წამსვე თვალთ დაუბნელდა, მუხლები მოეკვეთა, მკლავები მოუდუნდა. ჰერაკლეს თასი მაგიდას დაასკდა, ღვინომ იფეთქა, სუფრას გადაესხა, წითლად შეუღება ტანსაცმელი ალექსანდრეს, სხვებსაც, ვინც ახლოს იჯდა. ლალისფერი, სისხლისფერი იყო ღვინო — ადრე დაღვრილი და აწ დასაღვრელი სისხლისფერი.

ალექსანდრე ხელში აიტაცეს, ციმციმ გადაიყვანეს საწოლ ოთახში. რამდენიმე დღე იცოცხლა, რამდენჯერმე მოვიდა გონს, მაგრამ საამქვეყნიო პირი უკვე აღარ უჩანდა.

და მიიცვალა „მოკვდავი ღმერთი“, ბედის რჩეული, „მსოფლიოს მბრძანებელი“, 33 წლის ალექსანდრე დიდი.

ისე მოკვდა, ვეღარ მოასწრო ახალი, სისხლისმღვრელი ომების სადღეგრძელოს შესმა სისხლისფერი ღვინით სავსე ჰერაკლეს თასით.



გაგრძელება მომდევნო ნომერში



# სიკეთის გზა


**ნინო ხარაზიშვილი**
**ჯემალ კასრაძის ფოტო**


ყველას გამოგვიცდია, რა დიდი სიხარულია ჭეშმარიტ შემოქმედებასთან ზიარება, მით უფრო, ბავშვის შემოქმედებასთან, რომლის იქითაც ახალგაღვიძებული, ძალუმი, ხასხასა სურვილებია და საკუთარი თავისთვის საკუთარივე ნიჭიერებისა და სილამაზის „დამტკიცების" მოთხოვნილება.

თეატრმა, რომელზეც გვინდა მოგითხროთ, უკვე იპოვა თავისი მაყურებელი, ადამიანები, რომლებიც მისი სპექტაკლების ჩვენების დღეებში — ორშაბათობით — სიამოვნებით გადადებენ ხოლმე გვერდზე მოუცლელობასა და მთელი დღის დაღლილობას, რომ ამ პატარა მსახიობების პატარა თეატრს ეწვიონ.

გაინტერესებთ სიახლე, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ამ საყმაწვილო თეატრში დაინერგა? სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან ერთად, აქ ბავშვთა თვითმმართველობა შემოიღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „დირექტორიც" მოსწავლე ჰყავთ (მიშიკო დემეტრაშვილი) და რეჟისორის ასისტენტიც (მამუკა ეკავა), ადმინისტრატორიც (დიმიტრი მინდიაშვილი), რეკვიზიტორიც (თეა მუსერიძე) და მეგარდერობეც (კესო ჩიღუნაძე). ასეთია „ბერიკონი" — მოზარდთა და ბავშვთა თვითმოქმედი თეატრი, რომელიც ა/კ რკინიგზელთა კულტურის სასახლესთან უკვე მესამე წელია არსებობს.

უფროს მეგობრებს, რა თქმა უნდა, აქვთ უფლება, მოინიშნონ მათ რეპერტუარში თავიანთთვის მეტნაკლებად საინტერესო სპექტაკლები. ბავშვებს კი უჭირთ თავიანთი ნამუშევრების ერთმანეთისაგან გამორჩევა — ყველა თავისებურად განუმეორებელი ეჩვენებათ და მართლებიც არიან. თითოეული მათგა-





ნი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორც თეატრის შემოქმედების გარკვეული ეტაპი, მაგალითად, სულ პირველი სპექტაკლი, სერგეი მიხალკოვის „შინ დაბრუნება მინდა". (მისივე „ბლუმენშტრასე, 27"-ის მიხედვით), ილიას ნაწარმოებთაგან შექმნილი საიუბილეო ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია, ყველა მათი თანატოლისთვის საყვარელი სპექტაკლები: პამელა ტრავერსის „მერი პოპინსი", პაკეტისა და გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიურები", მათი ასაკის „მსახიობთა" რეპერტუარისთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი — ახალგაზრდა დრამატურგის შადიმან შამანაძის პიესა „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში..."

პრემიერის დღეები გამორჩეულად უყვართ. საკუთარ თავს აღარ ეკუთვნიან, ძალიან ღელავენ და იმიტომ. თებერვალში საინტერესო პრემიერა უჩვენეს — თენგიზ მაღალაშვილის „სადა ხარ, სოფიკო?" სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რამაზ გულუამ, მუსიკალურად გააფორმა დალი კალაძემ, მხატვარია ვანო ასკურავა.



ეს სპექტაკლი „ბერიკონის" რეპერტუარიდან ყველაზე მეტად გამოეპასუხა სასკოლო ყოველდღიურობას, თანაკლასელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობებს და, ალბათ, ამიტომაც მოზარდების განსაკუთრებით დიდი დაინტერესება გამოიწვია. მოხდა სხვა სასწაულიც: ბავშვების გულწრფელმა თამაშმა წაშალა ასაკობრივი ბარიერი მაყურებელთა დარბაზსა და სცენას შორის, ყველანი მეშვიდეკლასელ გოგო-ბიჭებად აქცია, გაცხარებულები რომ ბჭობდნენ, რომელი უფრო პატიოსანი საქციელია, „შატალოზე" წასვლა თუ წაუსვლელობა...

უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება პიესის მთავარი გმირი სოფიკო (ნათია გიორგობიანი). თანაკლასელთა შორის თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით, იგი ადვილად ახერხებს კლასში „შატალოს" ჩაშლას, მაგრამ ვერ იცავს თავს ამხანაგებისა და მასწავლებლების თავზარდამცემი ეჭვებისაგან. სოფიკოს საბედისწერო ნაბიჯს, გადაარჩინოს თავისი კლასი საყვარელი მასწავლებლის ღალატისაგან, ვერ იგებენ თვით მისი უახლოესი მეგობრებიც, იგებს მხოლოდ მასავით უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ანა გეორგიევნა (მერი ოდიშვილი), მაგრამ იგი სოფიკოზე გაცილებით სუსტია...

სოფიკო გრძნობს, რომ მის მიმართ გამოჩენილი საერთო გულგრილობა და უნდობლობა უნდა დაისაჯოს და სჯის კიდეც უკლებლივ ყველას, სჯის თავისი საშინელი გადაწყვეტილებით — იგი თავს იკლავს...

ჩვენ არ მოვყვებით ამ სპექტაკლის ღირსება-ნაკლოვანებათა ჩამოთვლას, ვიტყვით მხოლოდ, რომ თეატრი დიდ გზას ადგას, სწორ გზას. ეს გზა მას უფრო დიდ სიმაღლეებზეც აიყვანს და ამიტომაც იგი მუდამ მწვანე და წინააღმდეგობებისგან დაცული უნდა იყოს.





# მოთხრობები



გიორგი გელაშვილი

მხატვარი თემურ ფხიკიძე

## თხოვნა

აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩათვალა, რომ ბარაკებში მცხოვრებ ოჯახებს უკეთესი ბინები ეკუთვნოდათ, რაკი მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საშუალებაც შეიქმნა.

— ჩვენ ნუ გადავალთ, რა! — სთხოვა თავის ყველაზე ახლობელ ადამიანს თორმეტი წლის ბიჭმა. — ისე გთხოვ, როგორც დედას.

—ნუ გადავალთ, შვილო, თუ კი შენ ეგრე გინდა, — მიუგო მას ქალმა და სცადა ცრემლები შეემაგრებინა, — ბოლოს და ბოლოს აქაც რა გვიჭირს!

ისინი დედა და შვილი არ იყვნენ. ბებია და შვილიშვილი იყვნენ და რადგან ერთმანეთის გარდა არავინ გააჩნდათ, თავს დედა-შვილად სთვლიდნენ.

როცა ყველა ბარაკი მოისრა, მათთანაც მივიდა გამკითხავი.

— თქვენ რა, სახელმწიფოს სიკეთეს უგულებელჰყოფთ თუ პირადად მე მიგდებთ მასხარად? — მრისხანედ მიმართა მათ სახლმმართველმა.

— როგორ გეკადრება, ვაჟო, — შეწუხდა ბებია, — სახელმწიფოს და პირადად შენს ყურადღებასაც ხელს როგორ ავკრავთ, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დაგვაყენეთ, სადაც ვდგავართ. არც ვწუწნობთ და არც დაგვიწუწუნია.

— დრო მოვა და დაიწუწუნებთ.

— ჩვენ არ დავიწუწუნებთ.

— დაიწუწუნებთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, დაიწუწუნებთ თუ არა, მნიშვნელობა აღარა აქვს. ეს ადგილი ახალი სახლის ასაშენებლად არის გათვალისწინებული და თქვენი ქოხმახიც უნდა მოიშალოს.

— ბიჭს რომ არ უნდა სხვაგან გადასვლა, ყმაწვილო?

— ვინ ბიჭს, მოხუცო?

— თვალი კი დამიდგეს! ვინ ბიჭსაო — მეკითხები? ჩემი ქალისა და ჩემი სიძის ერთადერთ ნაშიერს. აი, ამას, ვისაც ზედ დავკანკალებ.

— ჰმ, ჰმ.

— სიტყვა აღარ გეყო, ჩემო კარგო, რომ „ჰმ, ჰმ-ს"-ღა მეუბნები?

— რაღა უნდა გითხრა? მე თქვენკენ და...

— ჩვენ კი ეშმაკებისკენ? ეგ არ მითხრა, ვაჟო. მე მართლაც მალე წავალ იმ ქვეყნად, მაგრამ ამ ბიჭს საით იმეტებ. მე იმიტომ უფრო არ ვძრავ ფეხს ამ საცოდველიდან, რომ ბიჭს ეს კარ-მიდამო, უვარგისია თუ რაც არის, თავისი მშობლების სასიყვარულოდ დარჩენია. შენც უნდა გამიგო.

— ძნელი გასაგებია, ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადასვლას რომ ვინმე უარობდეს. მით უფრო ძნელია ჩემთვის, ამაში უფროსები დავარწმუნო.

— ის შენი უფროსები მე მომგვარე და მე დავარწმუნებ, რომ მართალი ვარ.

— რაში ხარ მართალი, დედაკაცო?

— იმაში, რომ ჩემს შვილიშვილს ასე უნდა.

— შენი შვილიშვილი რა, ქვეყნის კანონმდებელია?

— ჩემი შვილიშვილი ერთი იმათგანი არის, ვინც თავისი მშობლების, აგრეთვე ჩემი, შენი, უფროსების ერთ-ერთი მომავალია.

— ბებო, შენ გენაცვალე! მე რა ქვეყნის მომავალი ვარ? ოღონდ იქნებ როდისმე დაბრუნდნენ დედაჩემი და მამაჩემი, და სახლი რომ აქ აღარ დახვდეთ, ჩვენ რომ არ დავხვდეთ, სადღა გვიპოვნიან? — გაიშფოთა ლოგინში სიცხიანმა ბიჭმა. — უნდა აქ დავრჩეთ, შენ გენაცვალე, ბებო.

— დარჩით, ხალხო კეთილო, — უცებ დაძაბუნდა მედგარი სახლმმართველი, — იყავით აქ, თუ ეგრე ჰგიხირებიათ. მაგრამ, რომ მოვა ერთ დღეს მნგრეველი მანქანა და თავის ბასრ პირს შემოუყენებს თქვენს სახლსა? ხომ იცი, ძველი მაინც უნდა დაინგრეს.

— ძველი ყველაფერი არ უნდა დაინგრეს, ჯეილო. ძველი, იცი, რამდენი სიყვარულის შთამნერგავია მომავალი თაობისათვის? ახალზე კი არც მე ვარ მწყრალად. რაც კარგია, მეც მესმის და როგორ ვიტყვი, რომ არ ვარგა-მეთქი! მაინც გთხოვ, სანამ პირში სული მიდგას, ეს ჭერი შემინარჩუნე.

— მე არც გინგრევ ამ შენს ჭერს. მაგრამ სხვა დაგინგრევს, იმად, რომ უკეთესში შეგასახლოს.

— მეც ამ დროებას ვენაცვალე, ჩემო კარგო. მაგრამ ხომ ხელშეუხებლივ ინახავთ ხოლმე ახალი დაგეგმარების არეზე თუნდაც ძალიანაც უხეირხულად გამოხირულ ზოგიერთ სახლს, რომელზეც მარმარილოს დაფას აკრავთ?

— მერედა, შენს სახლს რა დაუმსახურებია, რომ ასევე შევინარჩუ-

ნოთ და თანაც მარმარილოს დაფა ავაკრათ?

— ეს ჩემი სახლი მაინც მთელად შეინახეთ და დაფაც, თუ გინდათ, წინასწარ ააკარით. არ შეცდებით. ეს ბიჭი ივარგებს იმ ზომად, რომ მისი სახელი ამ ქვეყნად დარჩეს.

ბებია რომ დადუმდა, სიტყვა ვეღარ იპოვა სახლმმართველმა.

სიცხიანი ბიჭი კი ერთხელაც შეინძრა გახურებულ ლოგინში.

— ჯერ შენი სახელის სადიდებლად უნდა აეკრას დაფა, ბებო, ამ ჩვენს სახლს. შენ იმაზე მეტი მასწავლე, ბებო, ვიდრე უნდა მცოდნოდა. ხოლო რაკი ვიცი ამდენი, აბა, როგორ არ ვთქვა, რომ მეცა და აი, ამ კეთილ კაცსაც, რომელიც შენი შეგონებით სახლს აღარ გვინგრევს, ცხოვრებაში ყველა ავ-კარგის სწორად განსჯა შეგვეძლება.

ნაამებ ბიჭს თითქოს სიცხე შეეშვა. მან თვალები მილულა და მშვიდი ღიმილით დაიძინა.

— ეჰ, მოხუცო, — კეფა მოიფხანა გულშეძრულმა სახლმმართველმა.

— უი, თვალი კი დამიდგეს, ჭკვიანო კაცო, — უცებ ვიშვიშით აწრიალდა დედაბერი, — აგეთი სიკეთის მაუწყებელი მოგვიხვედი, მე კი თან მახარობლობა წყალში გადაგიყარე, თანაც პატივი ვერ გეცი. ახლავე, შემოგევლე, ახლავე. ტკბილიც იქნება და ტკბილზე დასაყოლებელიც, განა სახლთუფროსნი რომ არ გვადგანან, უმწეონიც ვართ? ნურას! ეს ჩემი ბიჭი კარგად გვიმყოფოს. ამ წუთში იქნება ტაბლაზე, რაც შენ გეკადრება.

მოხუცმა სწრაფად გამოყარა განჯინიდან, რაც ებადა, მაგრამ გული რომ სამასპინძლოდ ჩაიარხეინა, სტუმარი ოთახში აღარ იყო.

სახლმმართველი, ცხადია, სახლზე ასაკრავი მარმარილოს დაფების საშოვრად არ გამშპარა. თუმცა, შესაძლოა, ფიქრობდა, რომ გმირი ბებია იქნებ მართლაც იმსახურებდა ამ პატივს და იქნებ ამხდარიყო მისი წინასწარმეტყველებაც — უკვდავყოფის ღირსი სახელი დაემკვიდრებინა მამულიშვილთა შორის მის ობოლ შვილიშვილს.

გარეთ კი მომდგარიყვნენ სხვადასხვა ჯურის მძიმე მანქანები, რომლებიც იოლად დაანგრევდნენ დუღაბით ნაგებ ციხე-კოშკსაც კი, ოღონდ მოერეოდნენ თუ არა ფიცრულ ქოხს, რომელსაც ნიავიც კი საბედისწეროდ ატორტმანებდა და რომელშიც ნათელი იმედებით ცხოვრობდნენ მოხუცი ბებია და თითისტოლა შვილიშვილი, არავინ უწყოდა.

# ქუჩაში ჯერ მეეზოვეც კი არ იყო

ახალი ქუჩის კვეთილზე აგებულ შენობათა შორის ყველაზე სამეთვალყურეო მდებარეობა მაღალ ცისფერ სახლს ჰქონდა. ზამთრის ერთ მშრალ და სუსხიან დილას ქვედა სართულის კუთხის ფანჯარას უსახელოებო მაისურის ამარა, მკაცრი სახის მამაკაცი მოსდგომოდა. ჯერ ბინდი არ ასცლოდა ქალაქს, მაგრამ კვირადღე რომ არა, მაინც უკვე ხალხი იქნებოდა ქუჩებში. ახლა კი არავინ მიმორბოდა, მეეზოვეების ჭაჭანებაც არ იყო. რაკი ხალხი ადრიანად არ გამოიშლებოდა, ჩანდა, ისინიც ლოგინს შენაზებოდნენ. მკაცრი სახის მამაკაცს კი სხვა დღეებში დილით ქუჩაში სამზერლად არ ეცალა და სწორედ კვირადღის გამთენიაზე უხერხდებოდა და უყვარდა ფანჯარასთან დგომა. მოულოდნელად ქუჩაში ზემომხრიდან პატარა ადამიანი გამოიჭრა და თავქვეზე გულხეთქებით დაეშვა, თავზე მოსწავლის მაღალი ქუდი უხტოდა და უზომოდ გატენილი ჩანთა კანჭებზე სცემდა.



— „საით მიაჭენებს ეს ძილგამოუმცხვარი ადამიანი? — გულში მიესიყვარულა ბიჭუნას ქუჩის ერთადერთი მეთვალთვალე — მკაცრი მამაკაცი და უმალვე თვითონ მისწვდა საცნობისს. — ერიჰაა! ამას დღე შეშლია, უფროსებიც გულისყურში ვერ ჩავარდნილან და სკოლისკენ ტყვილად მიცუხცუხებს პატარა“.

კაცმა სწრაფად მოიგდო მხრებზე, რაც ხელში მოხვდა, და წუთში ქუჩაში გაჩნდა, ბიჭუნას გზა უყელა, წინ ჩაუცუცქდა და ხელები ფართოდ გაშალა. ცეროდენამაც თავი ვერ შეიმაგრა და იმ გაშლილ ხელებში მოექცა.

— საით, ადამიანო?

— სკოლაში, ძია, გამიშვი!

— სხვა რომ არავინ მიდის ახლა სკოლაში?

— მეც იმიტომ მივრბივარ, რომ ალბათ დამაგვიანდა!

— კვირა როა, ადამიანო?

— კვირა-ა? — მწვავე სუსხს სახე აელეწნა და თვალებში ცრემლი ჩაეყენებინა ბიჭუნასთვის. — კვირა-ა? — სიხარულით გაიმეორა მან და უცხო კაცს გათოშილი პაწაწა თითები ნიკაპზე მეგობრულად მოუთათუნა. — გმადლობთ, ადამიანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიცინა და სახლისკენ გაკუნტრუშდა.

მკაცრი მამაკაციც თავის ოთახში დაბრუნდა, ისევ ფანჯრის რაფას დაეყრდნო და ის დიდი ხნის წინანდელი დრო გაახსენდა, როცა სრულიად ყმაწვილი თვითონ ქარხნისკენ უნათებლივ გულხეთქებით მირბოდა და საამქროში შესულიღა აღმოაჩენდა ხოლმე, რომ ფეხებზე ცალ-ცალი წინდა ეცვა.

# იმედი

ნორჩი ფეხბურთელები მათზე ცოტათი უფროს ამხანაგებთან გადამწყვეტ შეხვედრას აგებდნენ დიდი ანგარიშით და გაგულისებულნი ამაოდღა დაფორიაქობდნენ მოედანზე, რომელიც ახალ მაღლივ საცხოვრებელ სახლებს შორის მდებარეობდა. ეზოს გუნდებში გაერთიანებული ბიჭები პირველად გამოდიოდნენ ნამდვილ მწვანე ასპარეზზე, ხოლო ფანჯრებიდან უამრავი მაყურებელი ადევნებდა თვალს თამაშს, და მათ ესეც აგულიანებდა.

ბოლო წუთზე უმცროსთა კარში კიდევ ერთი, უკანასკნელი ბურთი შევარდა და სადაც ვის თამაშის გასრულების მაუწყებელმა მსაჯის სასტვენის ხმამ მოუსწრო, თითოეული დამარცხებული იქვე მწვანეზე გულაღმა თუ პირდაღმა სასოწარკვეთით დაეგდო. და ისეთი სურათი შეიქმნა, თითქოს მოედანი ნაპირზე ახალამოყრილი ფართხალა თევზებით მოიფინაო. მათმა მწვრთნელმაც, ძველმა ფეხბურთელმა და ბავშვების დიდმა მეგობარმა, რომელმაც გუნდს სიცოცხლე შთაბერა და გზა დაულოცა, თითქოს მართლაც თევზების ასაკრეფად გამოვიდაო, ისე ჩამოუარა თავის ძირს დაყრილ დაძმარებულ ბიჭებს და დაყვავებით წამოყარა. ხახალზე კი, რა თქმა უნდა, არ გაუწყვია ბიჭ-თევზები, როგორც ნამდვილ კალმახს, ჭანარს, მურწას თუ წვერას უშვრებიან.

მწვრთნელი და მთელი მისი გუნდი ერთ-ერთი სადარბაზოს კიბეზე დაბანაკდნენ. სიტყვა, ცხადია, მწვრთნელმა თქვა, — წაგება თავისთავად საწყენია, მაგრამ იმაშიც არის საქმე, ვინ როგორ განიცდის მარცხს. თქვენ რომ თამაშის შედეგს ასე არ დაეღონებინეთ, იმედის მომცემ ფეხბურთელებად არ ჩაითვლებოდით. ხოლო, რაკი წაგება გულთან ძალიან ახლო მიიტანეთ, ეს უკვე მომავალში უკეთესი თამაშის საწინდარია.

უმცროსზე უმცროსი თაობის ფეხბურთელების, ბიჭ-თევზების დარბაისელი მწვრთნელი მხნედ იყო და გამარჯვებულთა მეურვის იერი უფრო ჰქონდა, ვიდრე დამარცხებულთა. და გულდათუთქულ, დაღვრემილ პატარებსაც სახეზე საავდრო ღრუბელი გაუქრათ და კეთილი დარი დაეფინათ. ისინი უკვე ახლა მზად იყვნენ ახალი უფრო შემართული ბრძოლისთვის.



## ძვირფასო რედაქციავ!

ასე ვიწყებდი თქვენდამი მოწერილ ბარათებს მაშინაც, როცა თქვენი ნორჩი კორესპონდენტი ვიყავი. მას შემდეგ ხუთ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ მაინც ძველებურად გულისფანცქალით ველი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. „აისმა“ ბევრი მეგობარი შემძინა, დღეს ისინი სწავლობენ და შრომობენ, ზოგიერთი მშობელიცაა, მაგრამ ყველანი ძველებურად სიყვარულით ვათვალიერებთ თქვენს ჟურნალს.

მიხარია, რომ ჩვენს დაწყებულ საქმეს ახლანდელი პიონერები აგრძელებენ. ისინი უფრო დიდი რიხით და შემოქმედებით უდგებიან ყოველ პიონერულ თუ სასკოლო საქმეს. ასეა ჩემს მშობლიურ — გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახის საშუალო სკოლაშიც. წელს დიდი ზეიმი ექნებათ პიონერ-მოსწავლეებს — ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბ „წითელ ყაყაჩოებს“ დაარსებიდან ათი წელი უსრულდება. ამ ხნის განმავლობაში მათ მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვეს, ბევრ ახალსაც ახლა იგებენ და სწავლობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. კლუბს უცვლელი ხელმძღვანელი ჰყავს — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მერი ხოსიტაშვილი.

უფრო და უფრო იზრდება „წითელი ყაყაჩოების“ მეგობრების სია. ნორჩები ბარათებს იღებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, გდრ-დან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან და სხვა სოციალისტური რესპუბლიკებიდან.

კლუბის დევიზია „მეგობრობა — გზაა მშვიდობისაკენ!“ კლუბის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა ქალაქებში გამართულ მეგობრობის ფესტივალებში, ატარებენ მეგობრობის საღამოებს, ამზადებენ სტენდებსა და ალბომებს, ქართულ ენას ასწავლიან მეგობრებს. „მე უკვე ძალიან შემიყვარდა თქვენი საქართველო. სურვილი მაქვს თქვენთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალალი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 6

ჩამოვიდე“... — უკვე ქართულად იწერება ელჟბეტა პეკარნიაკი, პოლონელი მოსწავლე; კარდენახელი მოსწავლეები გერმანულად სწერენ ბარათებს გდრ-ელ თანატოლებს...

ვინ იცის, რამდენი სიხარული მოუნიჭებიათ დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის — ისინი ხომ კვალმაძიებლებიც არიან.

დღესაც სათუთად ვინახავ იმ ბარათებს, ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამსახურის დროს რომ მწერდნენ ჩემი პატარა მეგობრები. ისინი იმ ნაწილსაც დაუმეგობრდნენ, სადაც მე ვმსახურობდი და რა დიდი სიხარული იყო ჩემთვის ის, რომ იქ ჩემს ბავშვობის მეგობარს, ლვოვში გამართულ მეგობრობის ფესტივალზე გაცნობილ ანდრეი ბუბკოს შევხვდი, ამჟამად უკვე როგორც საბრძოლო მეგობარს.

ადრეც მოაწყეს ნორჩებმა ფესტივალი კარდენახში, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ თანატოლებს მთელი მხარე დაათვალიერებინეს, თავიანთი მუშაობა გააცნეს. რაც მთავარია, წერილებითა და ფოტოსურათებით გაცნობილი გოგო-ბიჭები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირადად...

ახლაც ფესტივალისათვის ემზადებიან, რომელიც ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის იუბილეს ეძღვნება. დიდი გეგმები აქვთ „წითელი ყაყაჩოების“ წევრებს. ყველა ნაფიქრი და ნაოცნებარი ასრულებოდეთ! ყველაფერი ხომ ბავშვობიდან იწყება...

ბესიკ შაკიაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

## მზე სიხარულისა

ბინდბუნდის ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავები გამქრალიყვნენ, თითქოს მიწამ უყო პირიო. სიხარულიც გამქრალიყო და ნაღვლიანობა დაპატრონებოდა მთელ ქვეყანას. ოდესღაც ლამაზი და მხიარული სამყარო საიდუმლოებით მოცულ ბნელ გამოქვაბულს დაემსგავსა. იმედი აღარ იყო ბუნების გამოცოცხლებისა, ყველა სულდგმული შთაენთქა ღამეს; მარტო რომელიღაც ფრინველის ხმა ისმოდა: „უ-უ-უ“, თითქოს ბუნების გამოღვიძებას ცდილობსო. მაგრამ ამაოდ, ვერ გამოეფხიზლებინა მიძინებული ბუნება ამ ხმას... რა საშინელია ეს ბნელი ღამე, ეს შავი ფიქრი, რომელიც ადამიანს არ ასვენებს.

ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა თითქმის ყველა იმედი დაკარგულია, ამოვა, ამოგორდება კაშკაშა მზე, რომელიც დედობრივი სიყვარულით მოეფერება ბუნებას, სიცოცხლის სიხარულსა და ხალისიან იმედს უბრუნებს მას.

## ლურსმანი, სახელად ლურსმანა

ერთ ლურსმნების ყუთში ცხოვრობდა ლურსმანი, რომელსაც სახელად ლურსმანა ერქვა. ლურსმანას ცხვირი მოღუნული ჰქონდა, მისი ქვეყნის სხვა ლურსმნები კი ისე იყვნენ გასწორებული, რომ წელში მოხრაც კი უჭირდათ. რადგან ლურსმანა ასეთი გამორჩეული იყო, ლურსმნებმა იფიქრეს, ჩვენი ხელმწიფე ეს უნდა იყოსო და, მართლაც, ერთ დღეს ტახტზე დასვეს.

ლურსმანა სწორ მუშა ლურსმნებს სჯიდა, უქნარებს კი სასახლის მთავარ ხეში ჩარჭობის ინსტიტუტში სტუდენტებად აწყობდა და კარგ ადგილებზე სვამდა. გადიოდა დრო და ყუთში სულ მოღუნული ლურსმნები მრავლდებოდნენ, ერთი სიტყვით, „მოღუნულობა“ შემოვიდა მოდაში. მაგრამ ერთ დღეს ლურსმანას სამეფოც შეამოწმეს და...

ლურსმანას სამეფოს ორი უზარმაზარი არსება მიუახლოვდა. ესენი ადამიანები იყვნენ. ერთმა თქვა, ეს რა უხარისხო ლურსმნებიაო. ლურსმანას ეგონა, ხარისხი ცუდი რამ იყო, რადგან ამდენ ხანს ეს სიტყვა არ გაეგონა, მას სულ „რაოდენობა“ ესმოდა, და მშვიდად დაიძინა თავის ოთახში. ცუდი სიზმარი ნახა და გამოეღვიძა. მაშინვე თავის სახელმწიფოს გადახედა, მაგრამ უზარმაზარ რკინის ციხეში აღმოჩნდა თავის დაღრეცილ ამხანაგებთან ერთად. ეს ციხე ყუთი იყო, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა: „წუნი“...

გიორგი ალიხანაშვილი,
რუსთავი, მე-18 საშუალო სკოლა, VIII კლასი



გასეირნება. ნათია კაპანაძე. თბილისი. 174-ე საშუალო სკოლა




## მთვარე დატოვეს

ცა, ვარსკვლავებით ანთებული,
თბილისს დატბორავს,
შორს კი, წყვდიადში, მოციმციმე
შუქი ანთია.
იქ, ნარიყალას ციცკიდურზე,
მთვარე დატოვეს,
მთვარე დატოვეს
ამ ქალაქის წმინდა ნათლიად.

## ბავშვობა

მეწამულისფერ ციცკიდურს
მზე გადაშორდა.
ჩამავალია მზე და ჩემი
თეთრი ბავშვობა.
ბავშვობა, რასაც
სინანული და სევდა ახლავს,
მახსენებს ტკივილს ძველსა და
ახალს...
მე ვდგავარ მწუხრში მოგონების
ხოდაბუნებად
და მჯერა:
სადღაც ჩარჩენილი ჩემი ბავშვობა
ამ მზესთან ერთად რომ
დაბრუნდება.

## ტიციან ტაბიძეს

გავცქერი შორეთს და მეჩვენება,
თითქოს ორპირის მწვანე ლელიანს
ჩაუცვამს შავი ძაძების ფერი.
და ბილიკებიც გლოვის ფერია...
შენი სუნთქვა და „ლექსი მეწყერი"
ერთად მიდიან, მიიმღერიან:
„სამშობლოს იქით,
ამ მთების იქით,
ამ ზეცის იქით — არაფერია!"
შენი ლექსები
ბარში თუ მთაში,
ქალაქად, სოფლად — ყველგან იციან.
და სისხლისფერი მიხაკით მკერდზე
გაზაფხულივით მოხვალ, ტიციან.

იაგო აბსავა,
თბილისი, 86-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## ჩვენი ლილი მასწავლებელი

— ამ დილით ძალიან ცუდად ვიყავი, თავი მტკიოდა. მგონი ახლაც სიცხე მაქვს, — ამბობს ჩემი ერთი თანაკლასელი.

— მერე, სახლში რატომ არ დარჩი? უფრო ცუდად არ გახდე! — შემოვეხვიეთ მთელი კლასი.

— დღეს ხომ ქიმია და ბიოლოგია გვაქვს, ლილი მასწავლებლის გაკვეთილები როგორ გამეცდინა?!

ჩვენ ვჩუმდებით. ლილი მასწავლებლის გაკვეთილების გაცდენა ჩვენთვისაც წარმოუდგენელია... ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ლილი ჭელიძე პარალელურად ორ საგანს — ქიმიასა და ბიოლოგიას გვასწავლის. კლასში მისი ყოველი შემოსვლა ჩვენთვის დღესასწაულია...

ლილი მასწავლებელი უკვე რამდენიმე წელია მუშაობს სკოლაში. იგი გულისხმიერი და მიმტევებელი ადამიანია. შეუძლია პატიება. ობიექტურია. უსამართლობას ვერ იტანს. მოსწავლის ცოდნის შეფასებისას ყოველთვის მკაცრი და მომთხოვნია. მისგან მხოლოდ ქიმიისა და ბიოლოგიის საფუძვლებს როდი ვსწავლობთ. მისი ზრუნვით ვყალიბდებით, როგორც ადამიანები. გულდასმით ვისმენთ მის შეგონებებს პატიოსნებაზე, სიწმინდეზე. ერთმანეთის პატივისცემაზე, ვსწავლობთ სამშობლოსა და ბუნების სიყვარულს. თავისუფალ დროს იგი ბევრს გვესაუბრება კინოზე, თეატრზე, საერთოდ, ხელოვნებაზე, საქართველოს ისტორიასა და თანამედროვეობის სხვადასხვა პრობლემებზე.

ერთი სიტყვით, უხმაუროდ შრომობს. პირნათლად იხდის თავის მოქალაქეობრივ და ადამიანურ მოვალეობას, გვზრდის პიროვნებებად. გვასწავლის წინაპართაგან დღემდე სათუთად მოტანილის მოვლასა და გაფრთხილებას.

ფიქრია კოგახიძე,
ამბროლაური, ზედა შავრას
საშუალო სკოლა, X კლასი.

## სოფელში

მე ყოველთვის სოფლისკენ
სიხარულით ვიჩქარი:
ხალხი მხვდება ღიმილით,
ღია მხვდება ჭიშკარი,
მეგებება ბებია,
მეგებება ბაბუა,
ბებო — თავსაფრიანი,
ბაბუ — წვერებლაბუა.
ვიცვლი ტანზე ბებიის
თბილ ტანსაცმელს მოვირგებ
და საყვარელ სოფელში
მივირბენ და მოვირბენ.

ქეთევან ჩარაევა,
თბილისი, 51-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.



ბედნიერი დედა.
გიორგი კაპანაძე,
თბილისი, 174-ე საშუალო
სკოლა, II კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატომ დაერქვა ყოჩივარდა

ზამთარი იდგა. ციოდა. თეთრად ბარდნიდა.

სოფელში ცხოვრობდა ერთი თავნება გოგონა. თავისი ჭირვეულობით მშობლებს ხშირად საგონებელში აგდებდა.

ასეთი დიდი ზამთარი თვით უხუცესებსაც არ ახსოვდათ. გაშიშვლებული ხეები ცას ევედრებოდნენ, რომ მზე მოევლინა. მაგრამ ცა კიდევ უფრო იქუფრებოდა და გულუხვად უგზავნიდა დედამიწას ფაფუკ ფიფქებს.

გოგონა კი ჭირვეულობდა. მოითხოვდა, მოეტანათ მისთვის წითელი ვარდი. არაფერს ჭამდა. მშობლები და ნათესავები წუხდნენ: არ იცოდნენ, რა გაეწყოთ.

ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი გულადი ბიჭი, რომელსაც ხალხი „ყოჩს“ ეძახდა. ბიჭმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ვარდი მოეტანა გოგონასათვის. ის ყოველ დილით ადიოდა მაღალ მთაზე და ცას შესცქეროდა. ელოდებოდა, როდის გაიფანტებოდნენ ღრუბლები, რომ ცას დალაპარაკებოდა. ერთ დილასაც ცა გამოჩნდა და ბიჭმა სთხოვა:

— ცაო, გევედრები, მზე მოავლინე, რომ თოვლი დადნეს და ვარდი აყვავდეს!

ცამ არ შეისმინა ვედრება.

ბიჭი პირდაპირ მზესთან წავიდა და შეევედრა, სხივები გადმოეფინა დედამიწისათვის. მზემ არ ისმინა მისი ვედრება და უარით გამოისტუმრა.

ბიჭი დაღონებული წამოვიდა. მას უნდოდა გაეხარებინა გოგონა, მაგრამ...

„ნუ, ნუ ტირი, ბიჭუნა, მე გიშველი. მე ხომ საბნად ვეფინები მიწას, კიდევ უფრო გავათბობ მის ზედაპირს და ყვავილიც ამოვა“.

ბიჭი შედგა. ეს ხომ თოვლის ხმაა. დაიხარა და ნაზად შეეხო ფაფუკ ფიფქებს.

— გაწმინდე ეს ადგილი და ყვავილსაც ნახავ.

ბიჭმა თოვლისაგან გაასუფთავა მიწის ერთი ციდა ნაჭერი და ჰოი, საკვირველებავ! თავი ამოყო პატარა მოწითალო ყვავილმა. ფრთხილად მოწყვიტა და გახარებული გაიქცა სოფლისაკენ.

მაგრამ ეს ხომ ვარდი არ არის! მართალია, მას მოეწონა ყვავილი, მაგრამ გოგონა რას იზამს?! ზედაც რომ არ შეხედოს?.. ამ ფიქრებში გართული შევიდა გოგონას ოთახში.

გოგონამ შეხედა თუ არა ყვავილს, გახარებული წამოხტა და ბიჭისკენ გაიქცა.

— რა ლამაზია, რა ლამაზია! რა ჰქვია?

— არ ვიცი, — უპასუხა ბიჭმა.

— ყოჩის ვარდი, ყოჩის ვარდი! — ყვიროდა გოგონა და თან ცეკვავდა.

ასე დაერქვა ამ პატარა, ციცქნა ყვავილს „ყოჩივარდა“. ის ახლაც პირველი ამოყოფს ხოლმე თავს მიწიდან და ხალხს გაზაფხულის მოსვლას აუწყებს.

**ნინო ანთაძე,**
თბილისი, მე-100 საშუალო სკოლა, VI კლასი.

## უსახელო ბიჭის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი. სოფელში ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ისეთი ხელმოკლეები იყვნენ, რომ ერთი დაქცეული ქოხის მეტი არაფერი ებადათ. ერთი ლამაზი ვაჟიშვილიც ჰყავდათ, რომელსაც რენე ერქვა.

გამოხდა ხანი, კაცს ცოლი მოუკვდა. დარჩა მამა-შვილი უპატრონოდ. კაცმა იფიქრა, იფიქრა და ბიჭს დედინაცვალი მოჰგვარა, მომვლელი მაინც ეყოლებაო... ქალს კი გერი პირველივე დღიდან არ მოუვიდა თვალში. გაიგულებდა თუ არა ქმარს სამუშაოზე, მისდგებოდა ბიჭს



ჩემი მეგობარი. თამარ ბიგაური, 11 წლის. დუშეთი, ჟართალი.



ნატურმორტი. მარიკა ქავთარაძე, 10 წლის. დუშეთი, ჟართალი.

19.390

და სცემდა დაოსებამდე. ყველაფერს ღონობდა, რომ ბავშვი მომკვდარიყო.

ერთ დღესაც ველარ მოისვენა დედინაცვალმა, დასტაცა ხელი ბავშვს და მასთან ერთად გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ ბრწყინვალე სასახლეს, რომლის სახურავიდანაც კვამლი ამოდიოდა. ქალი აძვრა სახურავზე და



ციყვი. მარინე ჯიქური, 12 წლის. დუშეთი, ჟართალი.

გერი საკვამურში ჩააგდო.

თურმე ნუ იტყვით, ის სასახლე მეფისა ყოფილა, მეფის ვეზირს კი დაუნახავს ყველაფერი, რაც ქალმა მოიმოქმედა. ვეზირს შეეცოდა პატარა ბავშვი და როგორც კი ქალი



მასხარა. ელდარ მამულაშვილი, დუშეთი, ჟართალი.

იქაურობას გასცილდა, ამოიყვანა ბიჭი საკვამურიდან. მეფესთან მიიყვანა და თანაც ყველაფერი უამბო. ის მეფე უშვილო იყო. ძალიან გაუხარდა ბიჭის პოვნა, დაუძახა მთელ თავის სახლეულს და გამოუცხადა.

ამიერიდან ეს ბიჭი ჩემი შვილი და თქვენი უფლისწული უნდა იყოსო. ის ვეზირი კი დაასაჩუქრა.

გავიდა წლები. ბიჭი შეეჩვია სასახლეში ცხოვრებას. მეფემ მას უსახელო დაარქვა, რადგან მისი ნამდვილი სახელი არ იცოდა. ცოტაც რომ მოიზარდა, ბავშვი ჩააფიქრა თავისმა უჩვეულო სახელმა, მივიდა მეფესთან და ჰკითხა, მამავ, ასე უცნაურად რატომ მომნათლეთო... მეფემ გაუმხილა სიმართლე, უამბო ყველაფერი, რაც ბიჭზე იცოდა. უსახელო აღელდა. მამავ, თუ შეიძლება, ის ჩემი ნამდვილი მშობლები მოვძებნო და ერთხელ მაინც ვინახულოო... მეფეს შეეცოდა შვილობილი და გამოუცხადა ხალხს, ვინც ამ ბავშვის მშობლებს იპოვნის, უხვად დავასაჩუქრებო. წავიდნენ ბიჭის მშობლების საძებნელად იმ სახელმწიფოს ოთხივ კუთხით. ერთ დღესაც მოვიდა კაცი და განაცხადა, ბიჭის მამა ვიპოვნეო. დაიძრნენ მეფე-უფლისწული თავიანთი ამალით, ნახეს რენეს ნამდვილი მამა. მეფის ბრძანებით, ის ბოროტი დედინაცვალი სიკვდილით დასაჯეს, ბიჭის მამა კი სასახლეში წამოიყვანეს და სიკვდილამდე ყველანი ერთად ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ნინო შამუგია,
გალი, ქვემო ბარღების საშუალო სკოლა, IX კლასი.



ავრორა. დათა რამიშვილი, თბილისი, მე-6 საშ. სკოლა, II კლასი.



აკვარიუმი. თამარ ბიგაური, 11 წლის. დუშეთი, ჟართალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანჯალი პალი

მხატვარი
კარლო ფაჩულია



ბენგალიის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა ჭაბუკი, რომელიც ჭკუასთან, ცოტა არ იყოს, მწყრალად გახლდათ. ერთ დღეს დედამ იგი მოშორებით მდებარე ქალაქში გაგზავნა სამუშაოს საშოვნელად, მისცა ცოტაოდენი ფული სამგზავროდ და კიდევ ოთხი ანა*, ამით შენთვის რამერუმე იყიდეო.

# ბრიყვის ფათერაკები

შუადღე იქნებოდა, როცა ბრიყვი იმ პატარა ქალაქს მიადგა. მაშინვე ბაზარს მიაშურა და იკითხა, რამერუმე სად იყიდებაო.

ყველა მედუქნე თუ მეწვრილმანე ერთნაირ პასუხს აძლევდა, — რამერუმე ჩვენ არ ვიცით, ზუსტად უნდა გვითხრა, რა გინდაო.

ჭაბუკი, რაკი მტკნარი სულელი იყო, ყველას ეუბნებოდა, მაშ რაღა გაქვთ, თქვე ბრიყვებო, თუ რამერუმე არა გაქვთ, რითი ვაჭრობთო.

გულმოსული ბრიყვი მეწვრილმანეებს გაეცალა, კუთხეში მდგარ უკანასკნელ დახლთან მივიდა, სადაც ხილ-ბოსტნეულს ჰყიდდნენ და, ერთხელ კიდევ იკითხა რამერუმე. გაქნილმა დახლიდარმა მაშინვე იგუმანა ყმაწვილის სიბრიყვე და შეაგება, აჰა, აგერ, შენ ბედად, ცოტაოდენი რამერუმე კიდევ დამრჩენია, აქ მომეცი, რაც ფული გაქვს, და წაიღეო. ამ ბაზარს რომ გასცდები და მოგშივდება, ეგრევე უმად ჭამეო.

ბრიყვი სიხარულით ცას ეწია, ვიშოვე ეს იშვიათი რაღაცაო, ხელში მაგრად ჩაბღუჯა და თავის გზას გაუდგა. მალე შიმშილმაც შეაწუხა, როგორც მეწვრილმანემ დაარიგა, უმად დაუწყო ბოსტნეულს ღეჭვა. საბრალო ყმაწვილს საშინლად აეწვა პირი და დუჟი მოადგა. იმ უკეთურ დახლიდარს წიწაკა შეეტყუებინა და, რა თქმა უნდა, საწყალ ბიჭს მთლად ამოეხახა ყელი.

გამწარებული ბრიყვი სირბილით დაუყვა გზას, თან პირიდან დორბლი გადმოსდიოდა. მაგრამ იმდენად შტერი იყო, რომ ფიქრობდა რაკი ფული ჰქონდა გადახდილი, ტყუილუბრალოდ არ უნდა დაეკარგა ეს ძვირფასი რამერუმე. ღეჭავდა და თან თავისთვის ბუტბუტებდა, კაცმა კარგი რამე უქმად არ უნდა დაკარგოსო, მიდიოდა და სულ ამ სიტყვებს იმეორებდა.

გზის პირას ერთ მონადირეს კაკანათი დაეგო და ელოდებოდა, როდის გაებმებოდა შიგ ჩიტი. ყური მოჰკრა ბრიყვის ბუტბუტს და იფიქრა, ალბათ ჩიტებს აფრთხობს, არ უნდა მახეში გამაბმევინოსო, გადმოუხტა ბრიყვს, ნუ ითარსებიო, უყვირა და ლაზათიანადაც წაუთაქა.

ბრიყვმა მონადირის გულის მოლბობა მოინდომა და ჰკითხა, მაშ რა უნდა ვთქვაო.

რა და, ნეტავ მახეში გაებმებოდნენ-თქო, — მიუგო მონადირემ.

ბრიყვმა გზა განაგრძო. მიდიოდა და ხმამაღლა იძახდა, ნეტავ მახეში გაებმებოდნენ, ნეტავ მახეში გაებმებოდნენო.

ამ დროს გვერდზე მძარცველებმა ჩაურბინეს, ძვირფასი ნივთები მოეპარათ და თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. ბრიყვის სიტყვები რომ გაიგონეს, იფიქრეს, ამას ჩვენი დაჭერინება სდომებიაო; მივარდა ყაჩაღების უფროსი, სახრე გადაუჭირა და უბრძანა ხმა გაკმინდეო.

მაშ რა ვთქვა, კაცოო, — გაოცდა ბრიყვი.

— ეგ ერთი და სხვა ათასი-თქო, — დაარიგა ყაჩაღმა.

ბრიყვმა ძუნძულით განაგრძო გზა, თან იმეორებდა, ეგ ერთი და სხვა ათასი, ეგ ერთი და სხვა ათასიო.

მცირე მანძილი რომ გაიარა, გაიხედა და რას ხედავს, მიცვალებულს მოასვენებენ. ოჯახში უფროსი ძმა გარდაცვლილიყო და მგლოვიარე უმცროსი ძმები სამარისკენ მიაცილებდნენ. ბრიყვის სიტყვები რომ მოესმათ, განრისხდნენ, ეს ვილაც ოხერია, ჩვენი სიკვდილიც მოუნდომებიაო, მისცვივდნენ და კარგად მიტყიპეს, მაგისთანა სისულელე აღარ დაგცდესო.

საწყალი ბრიყვი შეევედრა, ის მაინც მითხარით, რა უნდა ვიძახო მაგის მაგივრადო. უთხრეს, თუ არ დაგიშლია, და მაინც და მაინც გინდა რამე იძახო, ადექი და იძახე, ღმერთმა მაგ დღეს ნუღარ შეგასწროთ-თქო.

ბრიყვი ისევ გზას გაუდგა და თან იმეორებდა, რაც ასწავლეს. მაგრამ ბედი არ გინდა: ახლა მექორწილენი შემოეყარნენ წინ. ბრიყვის სიტყვები რომ გაიგონეს, ეს გიჟი ყველას უცოლშვილოდ დაგვტოვებს სამუდამოდაო, ეცნენ, მაგრად დაუზილეს

* ანა — ინდური წვრილი ფული.

გვერდები და თან უბრძანეს, ჩუმად ეგდეო.

ნაცემ-ნაგვემი ბრიყვი ახლა ამათ შეეხვეწა, ხალხნო, გამაგებინეთ მაინცა, რა ვიძახოო.

ღმერთმა ყველა ოჯახს ეგ დღე დაუყენოს-თქო.

ბრიყვი ადგა და ამ სიტყვების ძახილით გაუყვა გზას. ორიოდე საათში პატარა ქალაქს ჩავიდა. ერთი სახლი ცეცხლის ალში გახვეულიყო. ბრიყვმა სწორედ იმ დროს ჩამოიარა, როცა ოჯახის წევრები ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობას, ბრიყვის სიტყვები რომ მოესმათ, აღშფოთდნენ, ეს ჩვენ მთელ ქალაქს გადაგვიწვავსო, მაგრად გაასილაქეს და უბრძანეს, ახლა იძახე, ეგ ცეცხლი გაგნელებოდეთო.

წამოვიდა უბედური და ახლა ერთ მგზავრს გადააწყდა, რომელიც ხის ქვეშ მოკალათებულიყო და საჭმლის მოსამზადებლად ცეცხლის დანთებას ცდილობდა. ნიავი ქროდა და კაცს ცეცხლის გაჩაღებას არ აცლიდა. გზაზე მოჩანჩალე ბრიყვის ბურტყუნი რომ გაიგონა, კაცი, რა თქმა უნდა, გადაირია, დაავლო ჯოხს ხელი და ზურგი აუჭრელა.

ბრიყვმა სცადა მგზავრისათვის ტკბილი სიტყვა ეთქვა და ჰკითხა: მაშ რას მიბრძანებთ, კეთილო ბატონო, რა ვთქვაო?

— რა და შეწვი, ჭამე და გაამოსთქო.

ისევ გაუდგა გზას ბრიყვი და თან ხმამაღლა გაჰკიოდა, შეწვი, ჭამე და გაამოსო.

გზად ვიღაც გლეხებს ჩაუარა, რომლებიც ჭირისაგან მკვდარ თხას ფლავდნენ მიწაში. ბრიყვის ძახილი რომ გაიგონეს, იფიქრეს, ამას უნდა ეს ჭირიანი თხა ვჭამოთო, სტაცეს ხელი და მაგრად მიბერტყეს, მერე უთხრეს, ახლა კი გასწი და იძახე, იქით გადააგდე-თქო.

ბრიყვიც წავიდა და შემოსძახა, — გადააგდე იქითაო. რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ქალაქში შევიდა. თავისდა ჭირად, ერთი მდიდარი კაცის მსახურს ჩაუარა გვერდით, რომელსაც თავისი ბატონის ბავშვი მოჰყავდა ხელში აყვანილი. ბრიყვის



სიტყვებზე გული მოუვიდა და სულ პანღურები უთავაზა.

ამდენი შეცდომით გაოგნებულ საბრალო ბრიყვს მთლად აერია გონება. დანაღვლიანებულმა ჰკითხა მსახურს, რა ჯობს, რომ ვთქვაო. მსახურმა ბავშვი უფრო მაგრად ჩაიხუტა გულში და უთხრა, იძახე, ხელში აიყვანე და გულში ჩაიხუტე-თქო.

ვიწრო ბილიკმა შარაგზაზე გაიყვანა ბრიყვი. ზედ შუა გზაზე ერთი დიდი, ლაფში ამოსვრილი ღორი იდგა და არ იძროდა. ვიღაც მეწვრილმანე თავისი ურმით ღორისთვის გვერდის აქცევას ცდილობდა, მაგრამ გზა ვიწრო იყო და ვერაფერს ხდებოდა. ამ დროს მოესმა ბრიყვის ხმა, ხელში აიყვანე და გულში ჩაიხუტეო. მეწვრილმანე გაოგნდა, ეს რას მეუბნება, უნდა ეს ბინძური ღორი ხელში ამაყვანინოს და გულში ჩამახუტებინოსო. ურმიდან გადმოხტა, ბრიყვს მიეჭრა, კინკრიხოში წასცხო და უყვირა: რას მიჰქარავ, ამ ბინძურ ღორს გულში რა ჩამახუტებინებსო.

საბრალო ბრიყვმა მისი დაშოშმინება სცადა და ჰკითხა: მა რა უნდა მეთქვა?

გაჩუმდი და ხმას ნუ ამოიღებ!

ბრიყვს ეგონა, ახლა ეს უნდა ვიძახოო და გზას გაუდგა. მიდიოდა და იძახდა, გაჩუმდი და ხმას ნუ ამოიღებო.

ის იყო ქალაქგარეთ გავიდა, რომ რამდენიმე პოლიციელს წაადგა თავს. ვიღაც ქურდი წაეგდოთ ფეხქვეშ და ცდილობდნენ სიმართლე ეთქმევინებინათ. ბრიყვის სიტყვებს რომ მოჰკრეს ყური, იფიქრეს, ესეც ამ ქურდის ამხანაგი იქნებაო, სტაცეს ხელი და დაიჭირეს. ქურდიცა და ბრიყვიც მოსამართლეს მიჰგვარეს. ბრიყვის დაკითხვის ჯერი რომ დადგა, საბრალო ჭაბუკმა მოსამართლეს თავისი გასაჭირი შესჩივლა და დაწვრილებით უამბო, რაც თავს გადახდენოდა. მოსამართლე მიხვდა, მტკნარი სულელი რომ იყო ეს საწყალი ყმაწვილი და დანაშაულიც არაფერი მიუძღოდა, გამოუშვა და დაარიგა — ჩუმად იყავი შენთვის, კრინტს ნუღარ დაძრავ, სანამ შენს ადგილზე არ მიხვალ და ნურც იმას ეცდები, ყველას აამოო.



ბრიყვი მოსამართლის შეგონებას დაემორჩილა და პირი დაშუწა, ხმას აღარ იღებდა, რომ ახალ დავიდარაბაში აღარ გაბმულიყო. ქალაქამდეც მშვიდობიანად მიაღწია, დედის დავალებაც შეასრულა და შინაც უფრო დაბრძენებული დაბრუნდა.

ინგლისურიდან თარგმნა
ბიორბი ჯაბაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერული აქტივის კლუბი

## კოცონი

# ბანაკი წრთობის სკოლაა

„შენ და ზაფხული" — ამ შეკითხვით მივმართეთ აქტივისტებს თუ რიგით პიონერებს, რათა გაგვერკვია მათი დამოკიდებულება საზაფხულო დასვენებისადმი. როცა პასუხებს გავეცანით, აღმოჩნდა, რომ უმეტესობამ მშობლებთან ერთად აგარაკზე ირჩია დასვენება, ზოგმა კი მეგობრებთან ერთად ტურისტულ ლაშქრობებში თუ ექსკურსიაზე გამგზავრება.

ცოტა არ იყოს, ჩაგვაფიქრა ასეთმა პასუხმა, მაშასადამე, პიონერთა ბანაკისაკენ ბავშვებს ნაკლებად მიუწევთ გული. სწორედ ამის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ მოვაწყოთ წელს თქვენი საზაფხულო დასვენება ბანაკებში, სადაც გონივრულ დასვენებას კარგად შეერწყმება ფიზიკური წრთობა, ხოლო იმისათვის, რომ ბანაკის ცხოვრება თქვენთვის მოსაწონი იქნეს, ბევრი რამ თავადვე უნდა მოიფიქროთ; თითოეული თქვენგანის თაოსნობა, შემოქმედება იმის გარანტია იქნება, რომ უფრო საინტერესოდ და მხიარულად ჩაივლის თქვენი დასვენება პიონერთა ბანაკში.

...პასუხებში კიდევ ერთმა მტკივნეულმა საკითხმა ჩაგვაფიქრა, ბანაკში ბავშვებისა და უფროსების ურთიერთდამოკიდებულებამ. მოსწავლეთა პასუხების მიხედვით ბანაკებში, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ხდება, რომ პიონერხელმძღვანელი უმიზეზოდ სჯის ბავშვებს, ხოლო აღმზრდელები უხეშობენ. ბუნებრივია, ბავშვებს უჭირთ მოთმენა — ატანა. ასეთ ვითარებაში, როცა მშობლები შორს არიან და იმათაც ვერ შესჩივლებთ, ისევ თქვენ თვითონ, თანატოლებმა, თქვენმა კოლექტივმა უნდა დაიცვას უსამართლოდ დამცირებულ-დასჯილი ამხანაგი.

როგორ? მოელაპარაკეთ რომელიმე უფროსს, ვისაც უფრო მეტ ნდობას უცხადებთ, რაზმის საბჭოს შეკრებაზე გაარჩიეთ თქვენთვის მტკივნეული საკითხი...

თუ საქმეს არ ეშველა, მაშინ ბანაკის უფროსთან მიდით, პედსაბჭოზე თქვენს წარმომადგენელს დაავალეთ ამის აღნიშვნა, გულწრფელად აუხსენით ყოველივე; რაზმს შეუძლია უარი თქვას უფროსზე, თვითონ აირჩიოს რაზმის ხელმძღვანელი.

უფროსებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ ბევრ ბავშვს არ უყვარს „წყნარი საათი". გვინდა იცოდეთ, რომ წლეულს ბანაკში დღის რეჟიმი უფრო მოქნილი გახდება. აღარ იქნება ის შეუცვლელი რკინისებური კანონი — „წყნარ საათზე ყველას უნდა ეძინოს!" ბანაკის ხელმძღვანელობა უფრო შეგნებულად მიუდგება ამ საქმეს. მაგალითად, უფროსი ასაკის პიონერებისათვის „წყნარი საათი" შეიძლება „კითხვის საათად" იქცეს. არ გეძინება? წიგნი წაიკითხე, სხეული დაასვენე.

ბევრისგან გვსმენია წუწუნი, ბანაკში ნაკადი ისე ჩაივლის, ერთხელაც არ წაგვიყვანენ ლაშქრობა-ექსკურსიაზე, არც სპორტსა აქვს მაინცდამაინც ფრთა გაშლილი. არც ეს საყვედურები მიგვაჩნია მართებულად. რატომ ელოდებით კარნახს? პიონერთა IX საკავშირო შეკრებაზეც, შარშან არტეკში გამართულ გარდაქმნის პიონერულ აქტივისტთა საკავშირო შეკრებაზეც დაბეჯითებით ითქვა, რომ პიონერთა ორგანიზაციაში თქვენი ცხოვრების წარმმართველები თავადა ხართ. თუ არა პიონერული აქტივისტები, ვინ უნდა ამოუდგნენ პირველები მხარში რაზმეულის საბჭოსა და ბანაკის ხელმძღვანელობას? მათივე დახმარებით უნდა „ბატონობდეს" ბანაკში სპორტი, ეწყობოდეს ექსკურსია-ლაშქრობები.

არ არის დასამალი, რომ ბევრი თქვენგანი ბანაკში შრომას გაურბის. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, აქ სამუშაოდ კი არა, დასასვენებლად ჩამოვედითო. ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, უმართებულოა. პიონერული აქტივი ამ საქმეშიც მისაბაძი უნდა იყოს.

მოდით, ვცადოთ გავარკვიოთ, მართლაც რა არის მთავარი ბანაკში? ვიცი, მიპასუხებთ, — დასვენებაო.

რასაკვირველია, ეგ მართალია. მაგრამ ვითომ მარტო დასვენება? მაშინ ხომ ბანაკს ბანაკი კი არა, ბავშვთა დასასვენებელი სახლი ერქმეოდა.

ბანაკი წრთობის სკოლაცაა. ვინც აქ დაისვენებს, აქედან ჯანსაღი, კუნთებმაგარი უნდა წავიდეს. თორემ აბა ბანაკი რისი ბანაკია! ამიტომ გვახსოვდეს:



პირველი: ბანაკში მთავარია, თითოეულმა პიონერმა გამოავლინოს დამოუკიდებლობა, რათა თქვენვე იყოთ თქვენი საზაფხულო ცხოვრების წარმმართველნი.

მეორე: მთავარია შეგეძლოთ კოლექტივში ცხოვრება, გქონდეთ კოლექტიურობის გრძნობა! — ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა ყველას საერთო ინტერესები აქვს.

მესამე: უნდა შეგეძლოთ თაოსნობის გამოჩენა, ხოლო ეს მაშინ მოხდება, როცა უფროსების ძალდაუტანებლად, საკუთარი სურვილით იცხოვრებთ და იმუშავებთ.

...ასე რომ, სადაც უნდა ისვენებდეთ — შავიზღვისპირეთში, ბორჯომის ხეობაში თუ საქართველოს სხვა კუთხეში თქვენთვის გახსნილ ბანაკებში, პიონერული ცხოვრება იმ გარემოსთან, იმ ამბებთან, იმ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, თქვენს ირგვლივ რომ არის გაჩაღებული... ბანაკში იციან, რით ცხოვრობს იმ პერიოდში მთელი ქვეყანა, რას აკეთებენ მახლობლად კოლმეურნეები, ტყისმცველები, მეთევზეები... ბანაკი, განსაკუთრებით ქალაქელ ბავშვებს, გასწავლით ტყეში გზებისა და ბილიკების გაკვლევას, ლამაზი ყვავილების, ფრინველებისა თუ სამკურნალო მცენარეების სახელებს და ა. შ.

შევთანხმდეთ. ზაფხულის ბოლოს პიონერული აქტივის კლუბის „კოცონის" სახელზე გამოგზავნილ ბარათებში გვიამბეთ, რა ისწავლეთ, რა შეიტყვეთ, რა წაიკითხეთ ამ ზაფხულს. თუ მოიფიქრეთ, ან მოახერხეთ თქვენი ცოდნის სხვისთვის გადაცემა? რა საქმემ გაგიტაცათ? უბის წიგნაკში რა ჩაინიშნეთ? რომელი სკოლის გამოცდილება მოგეწონათ და ა. შ. ჩვენც გვიკარნახეთ ამ სკოლების მისამართები. აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის ზარის აწკრიალებამდე მიაკითხეთ სკოლას, გააცანით უფროს პიონერხელმძღვანელს ზაფხულის შთაბეჭდილებები, გაუზიარეთ სამომავლო გეგმები.

ნუ დაივიწყებთ, რომ პიონერული ცხოვრება ზაფხულშიც გრძელდება, ბანაკში იყავით აქტიურნი, თქვენივე დასვენებისა და ცხოვრების ორგანიზატორები.

ნათელა ფაილოძე

# კარუსელი და ყვითელი ფოთოლი

ნინო ლონდარიძე

მხატვარი ზაურ დეისაძე

უშველებელი პარკის გრძელი ბილიკი ყვითელი ფოთლებით იყო მოფენილი. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა... ფერად-ფერად სკამებიანი კარუსელი უძრავად იდგა, შემოდგომის ცივი ამინდების გამო მისთვის არავის ეცალა; ამიტომ იგი მოწყენით იმზირებოდა და ხმამაღლა ფიქრობდა:

— რა საზარელი სიჩუმეა! ვერ გამიგია, რამ შეაშინა ნეტავი ადამიანები?! მზიან დღეებში თუ უყვართ პარკის სტუმრობა, განა ახლა რა მოხდა ისეთი, რომ ახლოს აღარ ეკარებიან აქაურობას?! რა საშინლად მოსაწყენია სიმარტოვე... მე ისე მიყვარს ბავშვების მხიარული ხმები! არ ვიცი, გაზაფხულამდე როგორ გავძლებ ასე უმოძრაოდ!..

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ, მოულოდნელად, ვიღაცის ღიღინი შემოესმა. კარუსელმა უმალ შეწყვიტა საკუთარ თავთან საუბარი და აქეთ-იქით მიმოიხედა. მის წინ, გაშიშვლებულ ალვის ხეზე ერთი ყვითელი ფოთოლი ეკიდა... თურმე ფოთოლი ყურს უგდებდა კარუსელს და ახლა განგებ წამოიწყო სიმღერა, რომ მისი ყურადღება მიეპყრო...

— შენ მღერიხარ? — ჰკითხა კარუსელმა. ფოთოლმა კი რატომღაც არ უპასუხა და პირდაპირ იერიშზე გადავიდა.

— მე მგონი, უმიზეზოდ წუწუნებ! განა ვერ მამჩნევ, რომ მე ჯერ ისევ აქა ვარ! — თქვა მან და ამაყად შეირხა, თითქოს კარუსელს ის შეახსენა, სხვა ფოთლებივით რომ მიწაზე არ ეგდო. — და, საერთოდ, ვფიქრობ, რომ არავინ არასოდეს არ არის მარტო!.. ოთხკედელს შუა გამომწყვდეულ ადამიანსაც კი თავისი ფიქრები და ოცნებები ეხვევიან გარს! მით უმეტეს, აქ... აბა, დაკვირვებით მიმოიხედე ირგვლივ, მიხვდები, რომ მარტო არა ხარ!

კარუსელმაც მიმოიხედა და მოშორებით ოქროსფრად შემოსილ მთებს დააცქერდა; აქა-იქ ნაძვებიღა დარჩენილიყვნენ მწვანე სამოსში. საიდანღაც ძაღლის ყეფაც ისმოდა... პარკში ტანმაღალი ალვები ფოთლებისაგან გაცლილიყვნენ, მაგრამ ბელურები მაინც მშვენივრად გრძნობდნენ მათ ტოტებზე თავს და მხიარულად ჟივჟივებდნენ... კარუსელმა ახლაღა იგრძნო ირგვლივ საოცარი ფუსფუსი... ნეტავ აქამდე რატომ ვერ ვამჩნევდი ყველაფერ ამასო, — გაიოცა გულში, თუმცა მოწყენამ მაინც არ გაუარა.

— შენ მართალი ხარ! — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ფოთოლს. — მარტო სულაც არა ვარ, მაგრამ მე



ის მაშინებს, გაზაფხულამდე ასე უმოძრაოდ თუ ვიქენი, ვაი თუ დავჟანგდე კიდეც! — თავისი მოწყენის ნამდვილი მიზეზი აღიარა კარუსელმა.

— რით გიშველო!? — შეწუხდა ფოთოლი.

— არ ვიცი! — თქვა კარუსელმა, მერე კი დასძინა: — აი, ქარი მაინც რომ გვეწვეოდეს ცოტა ხნით და აქეთ-იქით შემაქანებდეს, იქნებ ამ შიშმა გადამიაროს!

— ქარი? — იკითხა ფოთოლმა და ღელვა დაეტყო.

— ჰო, ქარი! — უპასუხა კარუსელმა და ისე ამოიოხრა, ფოთოლი ლამის ტოტს მოსწყდა...

— რა გაეწყობა! რაკი შენ ქარი გჭირდება, უთუოდ უნდა მოვიხმოთ! — მტკიცედ თქვა ფოთოლმა.

— კი მაგრამ, როგორ? — გაიოცა კარუსელმა.

— ჩვეულებრივად! ვინატრებ მას და, რადგან ჩემი ფესვები მიწაში არიან გატოტვილნი, უთუოდ მივაწვდენ ხმას! — დაამშვიდა ფოთოლმა.

— მაშინ მეც ვინატრებ! — გაიხარა კარუსელმა.

— შენ ხომ ფესვები არა გაქვს! — შეახსენა მორიდებით ფოთოლმა.

კარუსელმა ისევ მოიწყინა. ფოთოლი კი შემკრთალივით აკანკალდა, თან ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა. ალბათ ქარს თუ უხმობსო, — გაიფიქრა კარუსელმა.

მართლაც, ორიოდე წუთის შემდეგ ფოთოლი ოდნავ შეირხა, კარუსელის ფერადი სკამებიც აქეთ-იქით შექანდა და სულ მალე, სად იყო და სად არა, შარახვეტია ქარიც მოვარდა და — თქვენ მიხმობდითო? — იკითხა.

— კი! — სიხარულით შესძახა კარუსელმა.

— მაშ, ახლავე! — თქვა ქარმა და ჯარასავით დატრიალდა. ჯერ გზაზე დაფენილი ყვითელი ფოთლები მაღლა აიტაცა, ჰაერში შეათამაშა და თვალის დახამხამებაში ერთი კორიანტელი დააყენა. ისინიც თითქოს ღრმა ძილისაგან გამოფხიზლდნენ და ჩიტებივით გული შეუფართხალდათ... ქარი სულ მაღლა და მაღლა მიაქანებდა ფოთლებს — ხან ერთიმეორეს ახლიდა, ხან — გაშიშვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბულ ხეებს... შორიდან რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, უთვალავი პეპელა შეყრილაო ერთად, სინამდვილეში კი ეს ფოთლების ბედნიერი და თან სევდიანი ცეკვა იყო... ისინი თავდავიწყებით ფარფატებდნენ ჰაერში, ეთხოვებოდნენ მთებსა და ხის ტოტებს, რომელთაც ველარასოდეს ასწვდებოდნენ. ამასობაში ჩვენმა მოწყენილმა კარუსელმაც მოილხინა. ქარმა მისი ფერადი სკამები სულ საქანელასავითაატორტმანა. კარუსელს სიხარულისგან სუნთქვა ეკვროდა, რადგან გაზაფხულის საოცნებო დღეები ესახებოდა... ქარმა კიდევ დიდხანს იბობოქრა, თან ისე ძლიერ, რომ წელმაგარი ხეებიც კი აქეთ-იქით აქანავა; ხოლო როცა ქანცი გამოელია, ერთი მაგრად წამოუბერა და კარუსელის წითელ სკამზე ჩამოჯდა დაღლილი ბავშვივით... ფოთლებმაც ნელ-ნელა დაბლა დაშვება იწყეს და მალე პარკის ბილიკი ისევ წითელ-ყვითელ ხალიჩასავით აჩახჩახდა, კარუსელმაც შვებით ამოისუნთქა და ბედნიერებით გალაღებულმა მის წინ აშოტილ ალვის ხეზე ყვითელ ფოთოლს ახედა, რომ მადლობა ეთქვა მისთვის... მაგრამ... ფოთოლი იქ აღარ იყო.

— ვაიმე, სად წავიდა ნეტავი?! — აღელდა კარუსელი და თვალი ძირს გაექცა, მაგრამ ამდენ ფოთოლში თავისი კეთილი მეზობელი ველარ ამოიცნო.

# ალვის ხე

ერთი ქალაქის ლამაზ პარკში უამრავი ყვავილი და ხე იყო დარგული. პარკის თანამშრომლები მთელი მონდომებით ასუფთავებდნენ ბილიკებს, რწყავდნენ მცენარეებს... მათი წყალობით იქაურობა ნამდვილ წალკოტს ჰგავდა.

განსაკუთრებით საოცარი სანახავი იყო პარკი, როცა ხეები ყვავილებით ირთვებოდნენ. მაშინ ისეთი ფერები და სურნელი იღვრებოდა ირგვლივ, რომ თავი ზღაპრულ ქვეყანაში გეგონებოდათ... და აი ერთხელაც, გაზაფხულის ერთ საამურ დღეს, პარკს თმაჭაღარა პოეტი ესტუმრა. დიდხანს ისეირნა და როცა სიარულით დაიღალა, პარკის განაპირას, ალვის ხის ძირას, სკამზე ჩამოჯდა. პოეტი უცქერდა ყვავილებს, ლამაზ სამოსში გამოწყობილ ნუშის, ატმის ხეებს და გული სიხარულით უძგერდა... ბუნების ჭვრეტით ფრთაშესხმულს, ვინ იცის, რა საამური ფიქრები აღარ უტრიალებდა თავში... ბოლოს, თავი ველარ შეიკავა და ლექსების თქმა დაიწყო ჩურჩულით... ზოგს ახალს ამბობდა, ზოგსაც — ძველს. ყოველი ლექსი გულიდან ჟღერდა მომაჯადოებელ ჰანგებად... ალვის ხე სმენად იქცა და ისე გაიტაცა ლექსებმა, რომ ტოტებში სულ საამური ჟრუანტელი უვლიდა. ასე გაგრძელდა საღამომდე... მერე პოეტი შინ წავიდა, მაგრამ ალვის ხეს ისევ ჩაესმოდა მისი საოცარი ლექსები. ხოლო ღამით ძილ-ბურანში ზღაპრულ ქალაქებს ხედავდა და ფოთლებს ნაზად აშრიალებდა... მეორე დღეს, ალიონზე, როცა ალვის ხემ თვალი გაახილა, საოცარი რამ მოხდა: იგი ერთიანად სულ წითელი ხასხასა ყვავილებით შემოსილიყო! თუმცა თვითონ ვერც კი შენიშნა ეს, რადგან კვლავ ის საოცარი ჰანგები ედგა ყურებში და ოცნებებში იყო დანთქმული. მალე დილაადრიან მოსულმა პარკის თანამშრომელმა მოჰკრა თვალი აყვავებულ ალვის ხეს და კინაღამ გადაირია. იფიქრა, ხომ არ მელანდებაო, და ეს ამბავი მეორეს შეატყობინა, მეორემ — მესამეს, და სულ მალე ალვის ხეს ცნობისმოყვარენი შემოეხვივნენ გარშემო... დიდხანს უცქირეს, დიდხანს იმსჯელეს და რაკი თვითონ ვერაფერი გაარკვიეს, ქალაქის სწავლულნი იხმეს.

ყველაფერი გვინახავს, მაგრამ ვარდივით ხასხასა ყვავილებიანი ალვის ხე ჯერ არსად შეგვხვედრიაო! — აღიარეს მათ ერთხმად.

მერე ხან ყვავილი მოაწყვიტეს, ხან ფოთოლი, ხან რტოც შეატეხეს, რომ გაეგოთ, რაში იყო საქმე... საბოლოოდ კი გადაწყვიტეს, დედამიწაზე რაღაც ახალი, დღემდე უცნობი მცენარე ამოსულაო.

სინამდვილეში კი მათ წინაშე ჩვეულებრივი ალვის ხე იდგა, ოღონდ ძალიან ბედნიერი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღალი ზნეობის გაკვეთილი

## ფორე მოსულიშვილის ცხოვრებიდან

ორჯერ „აიძულა“ ვრცელი იტალია პატარა საქართველომ, ძეგლი დაედგა მისი შვილისათვის... პირველი იყო ცხენოსანი ქანდაკება იბერიის დიდებული მეფის ფარსმან I-სა. იგი ფარსმანის მხედრული მამაცობით აღტაცებულ იმპერატორ ანტონიუსს აღუმართავს რომში, ქალღმერთ ბელონას ტაძარში. მეორედ იტალიამ ძეგლი დაუდგა ქვემო მაჩხანელ ფორე მოსულიშვილს — ჩვენში კარგა ხანს უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეულ ვაჟკაცს, იტალიის ეროვნულ გმირს, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულს ამ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ფორე მოსულიშვილის თავგანწირვა საქართველოსათვის მხოლოდ მისი დაღუპვის ოცდახუთი წლისთავზე გახდა ცნობილი. 1970 წლის 28 თებერვლითაა დათარიღებული დეკრეტი, რომელსაც ხელს აწერს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯუზეპე სარაგატო, რომლითაც მეორე მსოფლიო ომში იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის გმირულად დაღუპულ ამ ქართველ მონაწილეს ქვეყნის უმაღლესი წოდება და ჯილდო მიენიჭა.

საქართველომ კი თითქმის პირტიტველა ბიჭად დაიმახსოვრა იგი. ეს ბიჭი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მსახურობდა ბალტიისპირეთში, შემდეგ ფრონტზე წავიდა და მხოლოდ ომის პირველ წელს სწერდა დედას წერილებს.

მერე იყო 1943 წელი — პოლონეთი, კრუშინოს ტყვეთა ბანაკი, სამხედრო ტყვის დამამცირებელი ყოფა... ამ წელს ტყვეთა ერთი ნაწილი და, ფორეც მათთან ერთად, საფრანგეთში გადაუყვანიათ. 1944 წლის დასაწყისიდან კიდევ შეცვლილა ტყვეობის მისამართი — ამჯერად ჩრდილოეთი იტალია, ქალაქი სტრეზა. საბანაკო პირობები... ყველაზე საშინელი, რაც შეიძლებოდა კაცს მაშინ წარმოედგინა.

ერთ დღეს ბანაკის მცხოვრებნი შესწრებიან გაუგონარ კადნიერებას — ტყვე ფორე მოსულიშვილს საჯაროდ გაუწვნია სილა მის დასაცინად მოცლილი ბანაკის უფროსისათვის. ეგონათ იქვე დაცხრილავდნენ... გადარჩა, მოგვიანებით უნდოდათ დაესაჯათ სამაგალითოდ. განგებამ კი, როგორც ჩანს, სხვაგვარად ინება, — მას უნდა აღესრულებინა უდიდესი მისია, მოეწყო ბანაკიდან ტყვეთა ჯგუფური გაქცევა, მით უფრო, რომ ტყვეები უკვე ჩურჩულებდნენ: სადღაც, მათ ბანაკთან ახლოს იტალიელი პარტიზანები იყვნენ დაბანაკებულნი.

და ისინიც გაიქცნენ, წავიდნენ მთებში, პარტიზანებთან! ეს მოხდა 1944 წლის ზაფხულის მიწურულს. იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის მეორე მსოფლიო ომის დროინდელ მებრძოლთა სიებს ასობით ქართული გვარ-სახელიც შემორჩა. მარტო ერთ, ნოვარის პროვინციაში უბრძოლია 300-ზე მეტ ქართველ გარიბალდიელს; რემო სერვადეის სახელობის 118-ე დამკვრელური ბრიგადის ბატალიონში, სადაც ფორე მოხვდა, მის გარდა თურმე კიდევ 28 ქართველი იბრძოდა.

გერმანელი ოფიცრის ტანსაცმელში გადაცმული, თავისი შესანიშნავი გერმანული მეტყველების წყალობით, იგი თურმე სასწაულებს ახდენდა. წარბშეუხრელად ასრულებდა ნებისმიერი სირთულის საბრძოლო ოპერაციას. ინიციატივას მუდამ საკუთარ თავზე იღებდა. ამ თვისებების გამო, შტაბს საკმაოდ დიდი პარტიზანული შენაერთის მეთაურობა უთხოვია ფორე მოსულიშვილისათვის, მას კი უარი უთქვამს, აქაური არც ადგილები ვიცი კარგად, არც ენა და ვერ შევძლებო. ბრძოლაში კი თურმე პირველობას არავის უთმობდა, ყველას აოცებდა თავისი უჩვეულო გაბედულებითა და შიშის გრძნობის უქონლობით.

1944 წლის მკაცრი ზამთარი იტალიაში დღესაც უსიამოვნოდ ახსენდებათ, ზამთარი კი ჩვეულებრივიც, მოგეხსენებათ, არცთუ მთლად იოლია პარტიზანებისათვის. გერმანელებმა ეს გაითვალისწინეს, გადაწყვიტეს პარტიზანული რაზმების მასობრივი ლიკვიდაცია. იმ დღეს, 3 დეკემბერს, გარიბალდიელთა ოცეულს, რომელსაც ედო დელგრატო მეთაურობდა, თავდაუზოგავად უგერიებია და კარგადაც უზარალებია მტერი. დაღლილები სალამოხანს ტყისპირა ქვის სახლს შეფარებიან. როგორც შემდეგ დაადგინეს, სულ თექვსმეტნი ყოფილან — ცხრა იტალიელი და შვიდი ქართველი, კარგად გათენებულზე დაუნახავთ, რომ მტრის ალყაში იყვნენ...

გერმანელებს ვითომ უეშმაკნიათ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, თუ თქვენი მეთაური ჩაგვბარდებაო. ვერ გაუბედავს ედო დელგრატოს... მაშინ გამოსულა ფორე მოსულიშვილი, მეთაური მე ვარ, მაგრამ თქვენს ტყვეობას ისევ სიკვდილი მირჩევნიაო... ერთი კი დაუძახნია, „გაუმარჯოს იტალიას!“ „გაუმარჯოს თავისუფლებასო!“ და იქვე, ყველას თვალწინ დაუცხრილავს თავი...

იტალიაში, ქალაქ ვერსიბანიასთან, ფონდე ტოჩეს ცნობილი მემორიალის შესასვლელში, დგას ყველა ქართველისთვის სანუკვარი სიმბოლო — ლითონის ვეება მუხა, რომელსაც ზედ ვაზი შემოხვევია. მისი ავტორია მოქანდაკე გია ჯაფარიძე, ხოლო იტალიაში იგი ჩაიტანეს ცნობილი ქართველი მწერლისა და რეჟისორის რევაზ თაბუკაშვილის ინიციატივით.

ეს ძეგლი აღიმართა 1944 წლის 20 ივნისს ფაშისტთაგან დახვრეტილი 42 იტალიელი პარტიზანის ხსოვნის უკვდავსაყოფად, იგი მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიის თავისუფლებისათვის იტალიელთა და ქართველთა ერთობლივ ბრძოლასაც ეძღვნება.

# ლიტერატურა, ხელოვნება და ბუნების-მეტყველება

მსოფლიო ბელეტრისტიკის ისტორიაში ცოტა როდია მაგალითი, როცა მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები ცნობილი მეცნიერებიც არიან. ბევრმა მათგანმა უკვდავყო თავისი სახელი, როგორც უდიდესმა ხელოვანმა და ლიტერატორმა და, ამავე დროს, მეცნიერებაშიც ანგარიშგასაწევი კვალი დატოვა.

მსოფლიო საზოგადოება იცნობს უდიდეს გერმანელ პოეტს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, მაგრამ მისი შესანიშნავი გამოკვლევების შესახებ ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში, ოპტიკაში, ფიზიკაში, მინერალოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებში მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს თუ სმენია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოეთეს შრომები ბოტანიკაში, მცენარეთა ორგანოების მეტამორფოზის საკითხებზე. გოეთემ — გამოჩენილმა ფილოსოფოს-ნატურალისტმა — დაამტკიცა, რომ ყვავილის ნაწილები: გვირგვინის ფურცლები, მტვრიანები, ნაყოფ-ფოთლები, რომლებიც ბუტკოს ქმნიან, წარმოადგენენ უმაღლესი მცენარეების ძირითადი ორგანოს — ფოთლის სახეცვლილებას.

გოეთე ბევრს მუშაობდა ორგანიზმთა მორფოლოგიის საკითხებზე, მისი დამსახურებაა თვით ცნებისა და ტერმინის „მორფოლოგია“ ამ დარგში შემოტანა-დამკვიდრებაც. მწერალი სიცოცხლის ბოლო წლებამდე გატაცებული იყო სამეცნიერო კვლევა-ძიებით. ცნობილია სიტყვები, რომლებიც მას ეკერმანთან საუბრისას უთქვამს: „მე დავხარჯე ნახევარი მილიონი მარკა და არა მარტო მამაჩემის დანატოვარი მთელი ქონება, არამედ ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობით მიღებული ჰონორარიც, რათა შემესწავლა ის, რაც ახლა ვიცი ბუნების შესახებ“. გოეთემ, შემოქმედთაგან პირველმა, აუღო ალღო ბუნების შესწავლის აუცილებლობას. გამოჩენილი ნატურალისტი ალექსანდერ ჰუმბოლდტი მასზე ამბობდა: „ჩვენ გვყავს პოეზიის დიდი მაესტრო, რომლის შემოქმედებაც გამსჭვალულია ბუნების ღრმა ცოდნით“.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმის მწვერვალი ონორე დე ბალზაკი ფართოდ იყენებდა თანამედროვე მეცნიერულ, კერძოდ, საბუნებისმეტყველო გამოკვლევებს. იგი თაყვანს სცემდა ცნობილ ბიოლოგს



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ჟორჟ კიუვეს და ჭეშმარიტ პოეტს უწოდებდა მას. ბალზაკმა ლიტერატურაში გამოიყენა კიუვეს მეცნიერული კვლევის მეთოდები. მწერალს განსაკუთრებით მოსწონდა კიუვეს „ორგანიზმის თანაფარდობის კანონი“, რომლის მიხედვითაც, გადაშენებული ცხოველის ერთი ნაპოვნი ძვლის საშუალებით შეიძლება ცხოველის მთელი ჩონჩხის რეკონსტრუირება. აღნიშნულ მეთოდს დღემდე წარმატებით იყენებს ანთროპოლოგია. ბალზაკი კი, მასზე დაყრდნობით, გვიმტკიცებდა, რომ „ვინაიდან სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებს, განა არ შეიძლება რომელიმე საუკუნის ერთადერთი გადარჩენილი მოზაიკის საშუალებით მთელი ეპოქის აღდგენა?!“

გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის პიროვნებაში კარგ მწერალს ერწყმოდა ნამდვილი მეცნიერიც. მისი პირველი წიგნი „ბიოლოგიური ცნობარი“ აღიარებული იყო ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოდ. ამ მწერლის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ფანტასტიკურ მოთხრობებში, ყოველთვის იგრძნობა მეცნიერების ღრმა ცოდნა. იგი მჭიდრო კავშირში იყო ცნობილი ინგლისელი ბიოლოგის ჰაქსლის ლაბორატორიასთან.

რენტგენის სხივების აღმოჩენა უელსისთვის იქცა ბიძგად, დაეწერა „უჩინარი კაცი“, ქირურგიის მიღწევებმა კი მას „დოქტორ მოროს კუნძულები“ შეაქმნევინა. საინტერესოა უელსის მეცნიერული წინასწარმეტყველებაც: 1908 წელს გამოცემულ მის რომანში „ბრძოლა ჰაერში“ აღწერილია ავიაციის დამანგრეველი მოქმედება, არა და, ავიაცია, როგორც ბრძოლის საშუალება, პირველად მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს. რომანში „განთავისუფლებული მსოფლიო“ (1914 წ.) ლაპარაკია ატომურ ბომბებსა და მათ რადიაქტიულ მოქმედებაზე. ამ უდიდესი აღმოჩენის პრაქტიკულ განხორციელებას მწერალმა დიდი დროით გაუსწრო.

ცნობილია, რომ ალბერტ აინშტაინი გატაცებული იყო ვიოლინოზე დაკვრით. როგორც ჩანს, თანამედროვეობის ამ უდიდეს მეცნიერს მუსიკა განაწყობდა საიმისოდ, რომ მსგავსი წესრიგი ბუნების კანონებშიც ეძებნა. ცნობილია აინშტაინის ერთი აღიარება, რომელშიც ამბობს, რომ მას გაცილებით მეტი მისცა დოსტოევსკიმ, ვიდრე ნებისმიერმა მათემატიკოსმა, თუნდაც გაუსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანსამბლი „ბითლზი"

თვრამეტ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ანსამბლი დაიშალა, აღარ არის ცოცხალი მისი ერთ-ერთი წევრი ჯონ ლენონი, ცალ-ცალკე მუშაობენ დანარჩენები — პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი, რინგო სტარი, „ბითლზ"-ისადმი ინტერესი კი კვლავინდებურად დიდია.

როგორც რედაქციაში შემოსული წერილებიდან ირკვევა, ჩვენი ჟურნალის მკითხველთა უმეტესობასაც სწორედ „ბითლზ". ის შემოქმედება მოსწონს და აინტერესებს გამორჩეულად. მაშ, მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ანსამბლის შექმნის ისტორია, შევეცადოთ გავერკვეთ მისი უდიდესი პოპულარობის მიზეზებში.

ჯერ — თავად ანსამბლის სახელწოდების შესახებ. პოლ მაკარტნი ასე ხსნის მას: „სახელწოდება „ბითლზ" შეგნებული ორთოგრაფიული შეცდომის შედეგად წარმოიშვა. თავის დროზე არსებობდა ამერიკული ჯგუფი „კრიკეტს", რომელშიც უკრავდა ბადი ჰოლი. ჩვენ გაგვაოცა იმ გარემოებამ, რომ ამ სახელწოდებას ერთდროულად ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ინგლისური თამაშისა „კრიკეტი" და ამერიკული „კალიისა". გადავწყვიტეთ, ჩვენც იმავე გზით წავსულიყავით. „ბითლზ" ერთდროულად „ხოჭოებსაც" ნიშნავდა და იმხანად გავრცელებულ მუსიკალურ მიმართულება „ბითსაც".

დიდი ბრიტანეთის მსხვილი საპორტო ქალაქი ლივერპული. ადგილობრივი მუსიკოსები, რომლებიც ძირითადად ტრედს ან სკიფლს უკრავდნენ, ნელ-ნელა გადადიოდნენ როკ-ნ-როლის შესრულებაზე. ამ უკანასკნელს კი ისინი ლივერპულელი მეზღვაურების მიერ ჩამოტანილი გრამფირფიტების საშუალებით გაეცნენ. დიდ ბრიტანეთში ბლიუზ-როკის ასობით ჯგუფი გაჩნდა. ლივერპულის კლუბებისა და დანსინგების პატრონებმა, ადგილობრივმა პრესამ მხარი დაუჭირეს ახალ მუსიკალურ მიმართულებას. 1961 წელს ქალაქის ერთ-ერთი გაზეთის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად როკ-ნ-როლის 350 ჯგუფს შორის ყველაზე პოპულარულად „ბითლზი" იქნა აღიარებული. მოწაფეობის პერიოდში, სანამ ერთად შეიყრებოდნენ, პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი, რინგო სტარი და ჯონ ლენონი ცალ-ცალკე სხვადასხვა სკიფლბენდებში უკრავდნენ. მერე ეს ნიჭიერი ყმაწვილები გაერთიანდნენ და ადგილობრივ კლუბ „კევერნეში" გამოდიოდნენ. სწორედ აქ მოი-

გამოჩენილ მეცნიერთა შემოქმედება მოწმობს, რომ ისინი ბუნების სურათს, უმეტესწილად, თავიანთი პროფესიის პრიზმიდან აღიქვამენ, მაგრამ უშლის კი პროფესიონალიზმი ხელს სამყაროს ესთეტიკურად აღქმას? ასე შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეცნიერის ვიწრო პროფესიული შეზღუდულობის, გრძნობიერი განუვითარებლობის შემთხვევაში. ნამდვილი ბუნებისმეტყველი კი არასოდეს გადაიქცევა მშრალ პედანტად, იგი, გარკვეულწილად, ხელოვანიცაა. მკვლევართა უსაზღვრო ფანტაზიამ შექმნა მეცნიერებაში ინტეგრალი, კვანტური ფიზიკა, ფარდობითობის თეორია, მეცნიერის ფანტაზიის არსი მის ორიგინალობასა და შემოქმედებითი აზროვნების უნარშია. ეს კი აუცილებელი პირობაა დიდი აღმოჩენებისთვის. განა ნობელის პრემიის ლაურეატების — უოტსონის, კრიკისა და უილკინსის აღმოჩენამდე ვისმე მოუვიდა აზრად, რომ გენს — „სიცოცხლის ძაფს" ესოდენ ნატიფი და ლამაზი ორმაგი სპირალის ფორმა აქვს?

აი, როგორ უპასუხა აკადემიკოს სერგი დურმიშიძის კითხვას, თუ რაში მდგომარეობს მეცნიერების პოეზია, გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის თეორიის შემქმნელმა ალექსანდრ ოპარინმა: „მეცნიერება, ძირითადად, გონების სფეროა. პოეზია კი, როგორც ყოველი ხელოვნება — გრძნობის სფერო. მეცნიერი მის მიერ მიღებულ შედეგებს ლოგიკური წყობის გზით გადასცემს ადამიანებს, მხატვარი კი მიისწრაფვის, რომ თავის მსმენელზე ან მაყურებელზე მოახდინოს უშუალო ემოციური ზემოქმედება. თუმცა ფართო მეცნიერულმა განზოგადებებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ღრმად ჩაწვდომა საკითხის ახსნაში, არამედ მაღალი ემოციური გრძნობაც — ჭეშმარიტი აღტაცება. ამაში გამოიხატება მეცნიერების პოეზია".

საგანთა მშვენიერება სუბიექტური ცნებაა. ალბათ უფრო მართებული იქნებოდა ლაპარაკი მშვენიერ აზრებზე, იდეებზე, თეორიებზე. მათი რეალიზების ერთადერთი გზა შემოქმედებაა, რომლის საბოლოო შედეგია აღმოჩენა — მაუწყებელი მშვენიერების დაბადებისა. მეცნიერული აზროვნების სიღრმეები ხომ ესთეტიკურ საწყისებსაც შეიცავს. მეცნიერული და მხატვრული აზროვნება ორი ხეა, რომლებიც თავიანთი ფესვებით ერთ ნიადაგში არიან ჩაზრდილნი.

არნ. ბეგეჯკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე რიტმები

პოვა ლივერპულელმა ოთხეულმა პირველი ნამდვილი წარმატება. ოთხივენი მერეც სიამოვნებით იგონებდნენ იმ დროს, როცა მხოლოდ „მშობლიური ქალაქის მასშტაბის ვარსკვლავები“ იყვნენ. თავიდან, 60-იანი წლების დასაწყისში, „ბითლზის“ წევრები აშკარად ბაძავდნენ ამერიკელ როკ-ვარსკვლავებს, ასრულებდნენ მათ სიმღერებს. მერე კი ჯგუფმა თავის, სხვებისაგან სრულიად განსხვავებულ, შემოქმედებით სახესა და ხელწერას მიაგნო. 1968 წლიდან მოყოლებული, ოთხეული თვითონ თხზავდა მუსიკასა და ტექსტებს. მათ გაბედულად დაიწყეს სხვადასხვა საკრავების ჩართვა, რითაც უჩვეულოდ გაამდიდრეს ორკესტრობა, გააფართოვეს როკ-მუსიკის სტილისტური და ესთეტური ჩარჩოები, გაამრავალფეროვნეს მისი რიტმები და აკორდები. ამან კიდევ უფრო გაზარდა ამ გრძელთმიანი, ძალზე თავისებურად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდების პოპულარობა. ხოლო მას შემდეგ, რაც მათი გამოსვლა ლონდონის „პალადიუმის“ დარბაზში ტელევიზიით გადაიცა, ჯგუფის პოპულარობამ საარაკო მასშტაბი მიიღო. მომდევნო კვირაში ლივერპულელი ახალგაზრდები საერთო ეროვნული ტელეპროგრამით უჩვენეს. სამეფო ვარიეტეში გამართულ იმ კონცერტში ისინი კინოვარსკვლავ მარლენ დიტრიხთან ერთად მონაწილეობდნენ. ჯგუფის წევრებს ახლა იმიჯიც (გარეგნობა, იერსახე) სხვა ჰქონდათ. ტყავის ქურთუკების ნაცვლად სადა და მკაცრი კოსტიუმები ეცვათ, თმის ვარცხნილობა უბრალო, ჩვეულებრივი ჰქონდათ. სწორედ ამ კონცერტზე იყო, ჯონ ლენონმა იაფფასიან ადგილებზე მსხდომ მსმენელებს რომ მიმართა, თქვენ ტაში დაგვიკარითო, მერე სამეფო ლოჟისკენ მიბრუნდა და, თქვენ კი ბრილიანტები აჩხრიალეთო. ლენონის ამ გამოხდომის შემდეგ „ბითლზმა“ საბოლოოდ დაიპყრო მრავალმილიონიანი პუბლიკა. დაიწყო ამ ჯგუფის სიმღერებით მასობრივი გატაცება, ე. წ. ბითლომანია; სოკოებივით მომრავლდნენ „ბითლზის“ მიმბაძველები, ბევრმა მათგანმა საკმაოდ დიდი პოპულარობაც მოიპოვა, მაგრამ დროის გამოცდას მხოლოდ „ბითლზმა“ გაუძლო. ძალზე თავისებური, მელოდიური, ნათელი, დემოკრატიული მუსიკის წყალობით ანსამბლი XX საუკუნის მუსიკალურ მოვლენად იქცა. სიმღერებს ძირითადად ორნი წერდნენ — ჯონ ლენონი („ნორვეგიული ტყე“, „წარმოიდგინე, რომ საკუთრება არ არსებობს“, „მიეცით მსოფლიოს შანსი“, „დილა მშვიდობისა“, „ერთი დღე ცხოვრებიდან“, „სტრობერი ფილდს“, „სამუდამოდ“, „ყველანი მისტერ კაიტის ბენეფისზე“, „ლუისი ალმასებიან ცაში“ და სხვ.) და პოლ მაკარტნი („მე დავინახე, იგი იქ იდგა, „პენი ლეინ“, „მშვენიერი რიტა“, „სულ უკეთ და უკეთ“, „როცა 64 წლის ვიქნები“, „იგი სახლს ტოვებს“, „როცა სოროში ვძვრები“ და სხვ.), თუმცა ჯორჯ ჰარისონსაც ბევრჯერ შეუტანია თავისი სიმღერებით ახალი ნაკადი „ბითლზის“ შემოქმედებაში („რაიმე“, „გადასახადების ამკრეფი“, „შენთან და უშენოდ“, „ვიდრე ჩემი გიტარა ნაზად მღერის“). ბევრი სიმღერა ლენონმა და მაკარტნიმ ერთად შექმნეს.

„ბითლზის“ ყველა ფირფიტა ელვის უსწრაფესად ვრცელდებოდა, ასე იყო 1962 წელს, როცა მათი პირველი ფირფიტა გამოვიდა, ასე იყო მერეც, როდესაც ზედიზედ გამოდიოდა ფირფიტები, ალბომები „მეთაყვა, გამახარე“, „ძნელი დღის საღამო“, „ელასტიკური პიროვნება“, „რევოლვერი“, „სერჟანტ პეპერის ეული გულების კლუბი“, „ჯადოსნური იდუმალი მოგზაურობა“, „ბითლზი“, „ყვითელი წყალქვეშა ნავი“, „ები როუდ“, „კვლავ ბითლზი“, „იყო ასე“, „კონცერტი ჰოლივუდში“, „ბითლზის“ იშვიათი სიმღერები“, „როკ-ნ-როლი“, „ლირიკული სიმღერები“ და სხვ. ასეა ახლაც.

1970 წელს ანსამბლი დაიშალა. რატომ? აი, როგორ ხსნის ამ ამბავს პოლ მაკარტნი: „ჩემი აზრით, ერთი რაღაც კონკრეტული მიზეზი არ ყოფილა. ერთდროულად ძალზე ბევრმა სუბიექტურმა ფაქტორმა მოიყარა თავი. მე მეგონა, რომ ყველაფერი „თეთრი ალბომით“ დაიწყო, ველარ ვუგებდით ერთმანეთს, ჩვენი ურთიერთობაც რაღაცნაირად არაბუნებრივი გახდა. ძალიან გაგვიჭირდა ერთად ყოფნა, განსაკუთრებით მწვავედ ეს მაშინ ვიგრძენით, როცა ვმუშაობდით სიმღერაზე „დაე, ასე იყოს“. პირველმა ჯორჯმა ვერ გაუძლო, მერე რინგომ. ისინი წავიდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვეგონა, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დაკარგული, რომ კიდევ შევძლებდით ისრების უკან დაბრუნებას“... მაგრამ, როგორც გამოირკვა, დარღვეულის აღდგენა შეუძლებელი გახდა და „ლივერპულელი ოთხეული“ საბოლოოდ დაიშალა. „ბითლზები“ ახლა ცალ-ცალკე მუშაობდნენ, ხოლო ალბომები და ფირფიტები გამოუშვეს ლენონმა, ჰარისონმა, მაკარტნიმ. მერე, 1980 წელს, ჯონ ლენონი მანიაკის მსხვერპლი გახდა...

და მაინც მათ დღესაც „ბითლზ“-ს უწოდებენ, ალბათ იმიტომ, რომ რაც დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება ამ ოთხეულის წვლილი XX საუკუნის პოპულარულ მუსიკაში.

ლილი გოგებაშვილი

## მამულო

### მამულო

ჩემი გულის
პაწაწინა სანთელზე
მომიკიდე
პოეზიის ცეცხლი.
შენს მთა და ველს,
ია-იით მოჩითულებს,
მუხლმოყრილი
თაყვანს ვსცემ და ვეტრფი.

## სვანეთს

სვანეთო, შენ ჩემს
გულში გაქვს ბინა,
შენ გამოგიზრდი
შავლეგ ბიჭებს,
დე, სისპეტაკე
თეთნულდის ჰქონდეთ,
ჰქონდეთ ენგურის
ამაყი სული,
იცოდნენ ჩვენი
მამულის ფასი,
მტრის და მოყვარის
გარჩევა შესძლონ...
სამშობლოს ცაო,
შენ გვედრებ ამას —
სხივი ნათლისა
შენც მიაპყარი.



# ლელო ჩვენი საუნჯეა

ლე-ლო, ლე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო! — დღეს ამ ხმაშეწყობილ შეძახილს ხშირად გაიგონებთ სტადიონებზე თუ სპორტულ დარბაზებში; გამოთქმა „ლელოს გატანა“ დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართულ ენაში; „ლელო“ ჰქვია ქართულ სპორტულ გაზეთს. რა არის მაინც ეს „ლელო?“

მოვიშველიოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 წ. გვ. 276.

ლელო 1. ძველებური ბურთის თამაში ერთგვარი. ორ ჯგუფად გაყოფილი მოთამაშენი ცდილობენ ბურთის გატაცებას და მოწინააღმდეგის ლელოზე (მნიშვ. 2) გატანას. 2. ამ თამაშში — ადგილი, სადაც ბურთი უნდა გაიტანონ. ლელოს გაიტანს — მიზანს მიაღწევს, გაიმარჯვებს, თავისას გაიტანს. ლელობურთი იგივეა, რაც ლელო (მნიშ. 1).

ქართულ ეროვნულ ფესვებზე, ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე აღმოცენებული უძველესი ლელოს თამაში, ჩვენდა საბედნიეროდ, დღესაც არსებობს, ოღონდ არა ძველებური წესებით.

თამარ მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს: სპანი მისნი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა“. ბურთაობიდან კი ყველაზე პოპულარული ყოფილა ლელობურთი.

ბურთაობა, როგორც ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა, საქართველოში ძველთაგან ფრიად გავრცელებულა. იგი აღწერილი აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ანონიმ ავტორს (ქართლის ცხოვრება, 1959 წ., ტ. III, გვ. 66).

„ვეფხისტყაოსანში“ ბურთაობა ტარიელის საყვარელი ვარჯიშია — „მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან; მერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან“. როსტევან მეფე აცხადებს: „ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა, — ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა“.

ბურთაობას ახსენებს ვახუშტი ბაგრატიონი თავის ცნობილ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1941, გვ. 22).

ბურთაობა შუა საუკუნეებშიც იხსენიებოდა. არჩილი თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“ ქართველი რაინდის ღირსებათა ჩამოთვლისას ამბობს: მან უნდა იცოდეს „ჩოგნის მოხვეტა, მობანვა, სწორის ბურთისა გამოჭრა, ბურთაობის დროს ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა“ („არჩილიანი“).

როგორ თამაშობდნენ ძველად ლელოს?

ამ თამაშს უმთავრესად საქართველოს დასავლეთ ნაწილში მისდევდნენ.

სათამაშოდ განსაკუთრებული მოედანი არ არსებობდა და მოთამაშეებს სხვადასხვა ადგილებზე, ზოგჯერ კი მდინარეებშიც, უხდებოდათ ბურთისათვის ორთაბრძოლა. ასევე, არ იყო დაცული ბურთის ზომა-წონა. შეხვედრების დროს განსაზღვრული არ იყო მოთამაშეთა რაოდენობა.

ყოფილა შემთხვევები, როცა ლელოს თამაშში ცხენოსნებიც იღებდნენ მონაწილეობას. მოვიშველიოთ გაზეთი „დროება“ 1882 წ. № 74.

კულაშში თავადი მიქელაძეების თაოსნობით გამართულ ლელობურთში 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას... მჭვრეტელ-



„ლელო“. თემო გოცაძის ფერწერული ტილო.

შეტევა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, რასაკვირველია, ათი ამდენი იქნებოდა".

წინათ ლელობურთში მსაჯის როლს ასრულებდნენ სოფლის თავკაცებს, სამღვდელოების წარმომადგენლებს, ბოქაულს და ზოგჯერ პოლიციის მოხელესაც კი.

ლელო იმართებოდა უქმე დღეებში, აგრეთვე, რელიგიური დღესასწაულების დროს—აღდგომას, მარიამობას, გიორგობას და ა. შ. თამაშს შუადღისას იწყებდნენ და დაბინდებისას ამთავრებდნენ.

თამაშის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ორი ურთიერთმოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებს ყოველგვარი საშუალებით უნდა მიეტანათ ტყავის ბურთი დადგენილ საზღვარზე, გადაეკვეთათ ხაზი და ლელო გაეტანათ. ეს საზღვარი ხშირ შემთხვევაში რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული ბურთის აგდების ე. ი. ცენტრის ადგილიდან. ბურთს სწორ მინდორზე მსაჯები აგდებდნენ მაღლა, გარდა ამისა, ისინი ადგენდნენ ლელოს გატანის საზღვრებს.



„ლელო". მერაბ ბერძენიშვილის ბარელიეფი.

დღეს ლელო ძირითადად ფეხბურთის მოედანზე ტარდება.

ბურთი 2,5 კილოგრამია, თამაშის მონაწილე თითოეულ გუნდში 13-ია (დასაშვებია 10 მონაწილეც).

თამაში 50 წუთს გრძელდება (ორი 25-25 წუთიანი ტაიმი, შესვენება 15 წუთი).

ნებადართულია ბურთის გორება, ტყორცნა, გადაცემა, როგორც ხელით, ისე ფეხით. როდესაც ბურთი გვერდით ხაზს გადაკვეთს, მას მოედანზე იმ გუნდის წევრი შემოაგდებს, რომლის მოთამაშესაც უკანასკნელად შეეხო ბურთი.

საჯარიმოს წახტომით ტყორცნა დაუშვებელია. მეტოქე საჯარიმოს შესრულებისას 5 მეტრით უნდა დასცილდეს მტყორცნელს.

ნებადართულია ბურთიანი მოთამაშის დაჭერა წელს ზემოთ ხელის ჩავლებით.

ლელო გატანილად ითვლება, როდესაც ბურთი გადაკვეთს მოწინააღმდეგის ხაზს.

ძველად ლელოს დამთავრების შემდეგ იმართებოდა საინტერესო ცერემონიალი — ლელოს გატანის ადგილზე ცეკვავდნენ, ისროდნენ, ზოგი ბურთს დიდ ჯოხზე წამოაცვამდა და ასე დადიოდა ქუჩაში. საუკეთესო მოთამაშეებს ბურთით აჯილდოებდნენ.

ლელოს თავისებურება იმაშიც მდგომარეობდა, რომ მას უფროსი ასაკის მამაკაცებიც მისდევდნენ. თუმცა, როგორც მოძრავი თამაში, იგი უფრო ახალგაზრდებს შორის იყო გავრცელებული.

**თამაშის წესები:**

მონაწილეობს 30-მდე ვაჟი 15 წლის ასაკიდან. თამაში უნდა გაიმართოს ვრცელსა და თავისუფალ ადგილას. მოედნის თავი და ბოლო მონიშნული უნდა იყოს ხაზებითა ან ქვებით (ზოგჯერ ნიშნის როლს ასრულებს ღობე, მდინარე, ხე და ა. შ.).

მოთამაშენი ორ ჯგუფად ნაწილდებიან. თამაში იწყება მოედნის შუაგულში ბურთის აგდებით (ბურთის შეხება შეიძლება ხელით, ფეხით და თავითაც). თითოეული გუნდი ცდილობს ბურთი გადააცილოს მოწინააღმდეგის ხაზს („საზღვარს"), რასაც „ლელოს გატანა" ეწოდება.

ხშირად წინასწარ დათქვამენ, რამდენ ლელოს გატანამდე ითამაშონ. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც უფრო ადრე „შეათავებს" დათქმულ რიცხვს.

არსებობს ლელოს მეორე ვარიანტიც:

თამაშობენ იმგვარადვე, როგორც პირველ შემთხვევაში, ოღონდ ბურთი უნდა გაიტანონ არა მოწინააღმდეგის, არამედ საკუთარ ლელოში. ამგვარად თითოეული გუნდი ცდილობს ბურთი თავისკენ გაიტაცოს.

საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მინი-ლელოს დანერგვის საინტერესო ვარიანტს გვთავაზობს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზ-აღზრდის კათედრის მასწავლებელი გივი ჯაფარიძე.

მინი-ლელოს გამართვა შესაძლებელია სპორტულ დარბაზშიც.

მინი-ლელოში ბურთის გადაცემა შეიძლება ხელით, ნებისმიერი მიმართულებით. ბლოკირების დროს აკრძალულია მოწინააღმდეგის ხელის კვრა. მოძრავი ბლოკი მხოლოდ ტანით უნდა გაკეთდეს;

ბურთიან მოთამაშეს მოძრაობისას უფლება აქვს მოიშოროს მოწინააღმდეგე ან ერთი, ან მეორე ხელით;

თამაში შეიძლება გაგრძელდეს წინასწარ დათქმულ ანგარიშამდე ან დათქმული დროის გასვლამდე.

ქართული სპორტის საუნჯე — ლელობურთი ჩვენი სიამაყეა. მოვუაროთ მას, შემოვუნახოთ იგი შემდგომ თაობებს.

**გ. ბარჯაძე**

# ერთსულოვნების ძალა

ვილი ბრედელი

ბატონი ჰარდეკოფის დაბადების ორმოცდამეცხრამეტე წლისთავი, რომელიც პირველ იანვარს დაემთხვა, ვიწრო ოჯახურ წრეში იზეიმეს. საღამოს კი თეატრში წავიდნენ ოთხნი: მოხუცი ჰარდეკოფი, მისი მეუღლე პაულინე ჰარდეკოფი, ქალიშვილი ფრიდა ბრენტენი და მისი მეუღლე კარლ ბრენტენი.

— დღეს რა სპექტაკლია? — იკითხა კარლ ბრენტენმა, როცა თეატრის გზას გაუდგნენ.

— მგონი რაღაც საშინელება უნდა იყოს, — თქვა ქალბატონმა ჰარდეკოფმა. — სიკვდილი თუ მკვლელობა და საპყრობილე. წარმოდგენაში სატანაც კი მონაწილეობსო.

— ტრაგედიაა?

— კი, ამბობენ, ნამდვილი ტრაგედიააო, — მიუგო პაულინემ და მერე ქმარს მიმართა: — რა ჰქვია, იოჰან, პიესას?

— ფაუსტი, — მიუგო მოხუცმა ჰარდეკოფმა. — გოეთეს ნაწარმოებია.

— გოეთესიო? — წამოიძახა გაკვირვებით კარლ ბრენტენმა. — აბა, ცუდი არ უნდა იყოს!

— მაინც უმსგავსობაა! და, უწინარეს ყოვლისა, ამორალურია! — მტკიცედ იცავდა თავის აზრს ქალბატონი ჰარდეკოფი.

— ვნახავთ და... — თქვა დასასრულ მოხუცმა ჰარდეკოფმა, როცა თეატრს მიუახლოვდნენ.

ჰამბურგის ერნსტ-დრუკერ-თეატრი ნამდვილი სახალხო თეატრია. მის მაყურებელთა შორის არიან მეზღვაურები, ნავსადგურის მუშები, მეთევზეები და ქუჩაში მოვაჭრენი. იქ ძველი საბაზრო გემოვნების შესაფერისი მსუბუქი ჟანრის პიესები იდგმებოდა, უფრო ხშირად — ჰამბურგულ დიალექტზე. ავკაცსა და არამზადას თავისი მიეზღვებოდა ხოლმე, უ დ ა ნ ა შ ა უ ლ ო მსხვერპლს კი ათავისუფლებდნენ. მაყურებლებს ისე მოსწონდათ, რომ მსახიობებს მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ და წარმოდგენის ბოლოს ყვავილებთან ერთად ხშირად ლუდითა და შებოლილი თევზით უმასპინძლდებოდნენ სცენაზე.

მაგრამ ამჯერად ამ უცნობი ავტორის ნაწარმოები ჩვეულებრივი მსუბუქი და სალაღობო კომედია არ იყო. ეს გახლდათ სიყვარულის ტრაგედია გოეთეს „ფაუსტიდან“. რეჟისორმა „ფაუსტს“ ფილოსოფიური შინაარსი მოაცილა და სცენისათვის მხოლოდ ნაწარმოების გმირთა პირადი თავგადასავალი დატოვა. ასე უნდოდა მას თავისი მაყურებლისათვის დიდი მწერალი დაეახლოებინა.

გრეთჰენის ტრაგედიის წარმოდგენა მაყურებელმა დიდი სერიოზულობითა და ყურადღებით მიიღო. გაისმა გრეთჰენისადმი გულითადი თანაგრძნობის გამომხატველი შეძახილები, როდესაც გრეთჰენს ფაუსტისადმი სიყვარულის გამო ბოროტმა მეზობელმა ქალებმა დასცინეს; ხოლო როდესაც დოქტორმა ფაუსტმა თავისი გრეთჰენი საპყრობილეში დატოვა და თვითონ მეფისტოფელთან ერთად გაპარვა დააპირა, ამ სკანდალით აღშფოთებული ჰამბურგელი კეთილზნიანი მაყურებელი ერთსულოვნად აღუდგა წინ უზნეობას და მოითხოვა პატიოსნების დაცვა. საქმეს სცენაზე იმის თქმამაც კი ვერ უშველა, „ქალი გადარჩენილიაო!“ — ეს ჰამბურგელებისათვის უაღრესად მისტიკური და ნაკლებსარწმუნო ნუგეშისცემა იყო, რადგან მათში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ადამიანური უფლება და სამართლიანობა, მათი გული სიკეთისა და პატიოსნების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული... კაცებიც, ისევე როგორც ქალები, აღშფოთებულები წამოდგნენ და იყვირეს: „რას ჰქვია გადარჩენილია?... ეს მტკნარი სიცრუეა! მან იგი ცოლად უნდა შეირთოს! უნდა დაქორწინდეს მასზე! სირცხვილი დოქტორ ფაუსტს! მან უნდა შეირთოს გრეთჰენი!“

მაყურებლები განუწყვეტლივ ერთხმად გაჰყვიროდნენ: „უნდა იქორწინოს“.

შეცბუნებული ავიდა რეჟისორი სცენაზე და ხალხს თხოვა დაწყნარებულიყო. მან განმარტა, რომ ეს ფინალი მისგან კი არ მომდინარეობს, არამედ თვითონ გოეთემ შექმნა ასე.

მაყურებელმა ამ განცხადებას ყურადღება არ მიაქცია: „რას ჰქვია, თვითონ გოეთემო! ეს მომიზეზებაა! დაქორწინდეს მასზე! დაქორწინდეს! დაქორწინდეს!“

ბოლოს გამოვიდნენ ფაუსტი და გრეთჰენი ფარდის წინ და როცა მაყურებელთა დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა, ფაუსტმა მონანიებით დაიწყო:

— მომიტევე ,გრეთჰენ, ცუდად მოგექეცი. მინდა შეცდომა გამოვასწორო და ამიტომ გეკითხები: გსურს ცოლად გამომყვე?

და გრეთჰენმა წყნარად უპასუხა:

— კი, ჰაინრიჰ!

ამის შემდეგ მათ ხელი ხელს მისცეს და ერთმანეთი გადაკოცნეს.

შესწორებული ბოლო სცენა აუწერელი აღტაცებით მიიღო მაყურებელმა. რამდენჯერმე მოუხდათ ფაუსტსა და გრეთჰენს, ფარდის წინ გამოსულიყვნენ და უაღრესად კმაყოფილი მაყურებლის ოვაციები მიეღოთ. მაყურებლებმა ყველა მსახიობი კათხა ლუდზე მიიწვიეს. სცენაზე გრეთჰენს ყვავილები მიართვეს, ფაუსტს კი სიგარები შესთავაზეს.

ჰარდეკოფები და ბრენტენები დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილები დარჩნენ, რომ ხალხის ერთსულოვანი მოწოდებით უზნეო წარმოდგენამ წესიერი და რიგიანი დასასრული მიიღო.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

## იცით თუ არა

● ქრიზანთემა ადამიანისათვის ცნობილი უძველესი ყვავილია. იგი ნახსენებია ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის ნაშრომში „გაზაფხული და შემოდგომა“. ეს ნაშრომი 2500 წლის წინათაა დაწერილი.

● სამხრეთ ამერიკაში ხარობს უცნაური მცენარე, სახელად სელაგინელა. გვალვის პერიოდი დგება თუ არა, მცენარეს მიწიდან ამოაქვს თავისი ფესვები, მორგვივით ეხვევა და იწყებს მოგზაურობას ქარის მიმართულებით. როგორც კი ტენიან ადგილას მოხვდება, სელაგინელა ფესვებს მიწაში ჩაუშვებს და ისევ ჩვეულებრივ მცენარედ იქცევა... და ასე შემდეგ...

● ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებიდან ყველაზე მეტ წყალს შეიცავს თვალის მინისებური სხეული — 99 პროცენტს, ყველაზე ნაკლებს — მინანქარი — 0,2 პროცენტს.

● თვალი არასოდეს იყინება, რადგან მას არ გააჩნია „სიცივის წერტილები“ — სიცივის მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებები. პირიქით, ხელის თუ ფეხის თითებში, ცხვირის წვერში, წელის არეში „სიცივის წერტილები“ ბლომადაა, და ამიტომაც ეს ადგილები ყველაზე ადრე და ყველაზე ძლიერ გრძნობენ სიცივეს.

● გული, რომელიც 500 გრამს იწონის, შეუძლია შეასრულოს იმდენი სამუშაო, რომ 65 კგ წონის ადამიანი ასწიოს 10 მეტრის სიმაღლეზე და დააყოვნოს იქ 10 წუთის განმავლობაში.

● ზვიგენს ნამდვილი ძვლები არ გააჩნია. მისი სხეულის, ასე ვთქვათ, მაგარი ნაწილი ხრტილისაგან შედგება. ამიტომაცაა, რომ ნაპირზე ამოყვანილი ზვიგენი უშნოდ ბრტყელდება და სულაც არ ჰგავს ზღვის მრისხანე მტაცებელს.

● ჩხრიალა გველის შხამი იმავე ნივთიერებისაგან შედგება, რომლითაც კვერცხის ცილაა შედგენილი... პროპორციაც კი ერთი და იგივეა. საქმე ისაა, რომ განსხვავებულია მოლეკულათა ჯაჭვის სტრუქტურა.

## ჟოკა — ადამიანის მეგობარი

იუგოსლავიის მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილებით ამიერიდან დელფინი ჟოკა კანონითაა დაცული. 300 კილოგრამიანი მარტოხელა დელფინი უკვე ორი წელია კოტორის ყურეში ცხოვრობს და კარგად იცნობს ადგილობრივ მოსახლეობას. ჟოკას ადამიანები უყვარს, იგი ღია ზღვაში მიაცილებს მეთევზეებს, ბადეებს არ აზიანებს, მოცურავეებს ეხმარება. ხანდახან ჟოკა იმით ერთობა, რომ ნავის ქვეშ ჩაყვინთავს და ფრთხილად წამოსწევს მას. თითქმის მოშინაურებული ცხოველი ადამიანის ხელიდან საკვებს მაინც არ ჭამს.



## დედამიწის ჩემპიონი

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი კლუბის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, ვინც არანაკლებ 100 ქვეყანაში იქნება ნამყოფი.



წევრთა შორის ყველაზე ცნობილმა დონ ბერკლიმ 302 ქვეყანაში იმოგზაურა. მაგრამ მსოფლიოში რომ 200-ზე მეტი სახელმწიფოა? საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ბერკლი ორჯერ და სამჯერაა ნამყოფი.

## მიირთვით... ჭიქა ჟანგბადი

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს ერთ-ერთ უნივერმაღში გაიხსნა ჟანგბადის ბარი, სადაც მომხმარებელს ჟანგბადის ბალონთან მილით შეერთებულ ცარიელ ფუჟერებს სთავაზობენ. 100 იენად (ეს მეტროთი მგზავრობის საფასურია) 3 წუთის განმავლობაში ადამიანს სიამოვნებით შეუძლია ისუნთქოს სუფთა ჟანგბადი. ბარის მფლობელის აზრით, ეს სიახლე მათთვის არის განკუთვნილი, ვისაც ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობის შემდეგ თავისი ძალების სწრაფად აღდგენა სურს.

## ევერესტი... გაიზარდა

იტალიელმა გეოლოგმა არდიტო დესიომ დაადგინა, რომ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი თითქმის 25 მეტრით გაიზარდა. უახლესი მიკრო-ეგმ-ის საშუალებით მან გამოიანგარიშა, რომ ევერესტის ნამდვილი სიმაღლეა 8,872,5 მეტრი და არა 8,848 მ., როგორც ეს ადრე ეგონათ. ჯომოლუნგმის სიმაღლის გარდა დესიომ, გამოიყენა რა კავშირის თანამგზავრთა დროის სიგნალები, დააზუსტა მწვერვალის გრძედი და განედი.

## აეროზოლური ჯინის მოთოკვა

აქროლადმა ფრეონმა ამ ბოლო ხანს სკანდალური დიდება შეიძინა. ეს არცაა გასაკვირი — სწორედ მას ადანაშაულებენ ატმოსფეროს დამცავი ოზონის ფენის დარღვევაში, რაც საფრთხეს უქადის დედამიწის სიცოცხლეს. უნგრელმა ინჟინერმა ვ. პამპერმა, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო ხერხს, როგორ შეიძლება შეიცვალოს აეროზოლურ ბალონებში შემავალი ფრეონი შეკუმშული ჰაერით. ასეთი ბალონი უწინდებურად გამართულად მუშაობს, უფრო იაფია და, რაც მთავარია, არ ვნებს გარემოს.

## დიდია ქარის ძალა!

ჰოლანდია ძველთაგანვე ცნობილი იყო ქარის წისქვილებით. ამ ტრადიციას დღესაც ყოველნაირად უჭერენ მხარს. ქვეყანაში რამდენიმე საკონსტრუქტორო ბიუროა, რომლებიც თანამედროვე ქარდანადგართა დაპროექტებაზე მუშაობენ. ეს ძალზე მომგებიანი დანადგარებია. ისინი ფქვავენ ხორბალს, კაკაოს მარცვლებს, ქვამარილს, კირქვას, გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას და ყველაფერ ამას აკეთებენ ისე, რომ გრამ საწვავსაც კი არ ხარჯავენ. ქალაქ როტერდამის ახლოს შარშან ამუშავდა ქარელექტროსადგური, რომლის სიმძლავრეა 450 კილოვატი. საყრდენი ბოძის სიმაღლე 54 მეტრია. ალუმინის ლაპოტები ისეა განლაგებული, რომ ნებისმიერი მიმართულების ქარს იჭერენ. ამის მეოხებით სადგური შეუსვენებლივ მუშაობს.



## სიახლეები

### უკეთეს ლურსმანს ვერ ინატრებ

პლასტმასის ლურსმანი გაცილებით სჯობს რკინისას — ამას ამტკიცებენ იაპონური ფირმა „კოტოკოს“ სპეციალისტები. მართლაც, პლასტმასის ლურსმანი არ მაგნიტდება, არ იჟანგება, ადვილად იჭრება და მუხის ფიცარშიც კი ჩადის (თუმცა ამ დროს უმჯობესია ჩაჭედვის პნევმატური ხერხი, ვიდრე ჩაქუჩის გამოყენება). სამაგიეროდ, თუკი ასეთ ლურსმანს ჩაარჭობ, იგი, შეიძლება ითქვას, სამუდამოდ ჩაჯდება ხეში; მის ამოძრობაზე, რკინის ლურსმანთან შედარებით, 4-6-ჯერ მეტი ძალა იხარჯება.

### კარტოფილის ახალი ჯიში

კარტოფილი ძვირფასი საკვები პროდუქტია, მაგრამ მასში ძალზე ბევრი ნახშირწყლებია. პერუში გამოიყვანეს კარტოფილის ახალი ჯიში. რომელიც ჩვეულებრივთან შედარებით ორჯერ მეტ ცილას შეიცავს.




● წვრილმანი საკანცელარიო ნივთების — ქინძისთავების, სამაგრების, ჭიკარტების — შესანახი მუყაოს ყუთის საკეტის მაგივრობას მშვენივრად გასწევს მწებავი პოლიმერული ლენტი.



● საბაღე ნაკვეთში აუცილებლად დაგჭირდება სარწყავი შლანგი. თუ კიბის ქვეშ ან შენთვის სასურველ სხვა ადგილას მომცრო დოლურას მოაწყობ, ძალზე გაჭადვილდება შლანგის გაშლა-დახვევა; გარდა ამისა, იგი უფრო დიდხანს მოგემსახურება.



● მტვერსასრუტის საცმების კომპლექტი შეგიძლია ერთი ორიგინალური საცმით გაამდიდრო: თუ ლითონის მილს ბოლოზე ველოსიპედის კამერის ნაჭერს წამოაცვამ, ადვილად გაწმენდ ძნელადმისადგომ კუთხეებსა და ნაპრალებს თუ რელიეფურ ზედაპირებს, თანაც ეს ზედაპირები არ დაგეკაწრება.



● ტაფის ტარი, რომელიც ნახაზზეა გამოსახული, კონსტრუქტორის მიერ დაუგეგმავი ეფექტური თბოგადამცემის როლს ასრულებს: ღრუ მილში წარმოიქმნება მუდმივი წევა და ტარი სწრაფად და ძლიერ ხურდება. თუ ტარის მილს უშუალოდ ტაფის სიახლოვეს ალუმინის ფოლგით გამოტენი, ტარი გაცილებით უფრო გვიან და ნაკლებად გახურდება.



● შესასვლელი კარის ჯაჭვი კარსა და ჩარჩოს შორის რომ არ მოჰყვეს, ჯაჭვის კაუჭის პირდაპირ კარზე მომცრო მაგნიტი მიამაგრე და პრობლემაც გადაიჭრება.



● ე. წ. „შინაური“ სოკოს მოსპობა, რომელიც ხის მასალას აზიანებს, არც ისე ადვილია. ყველაზე ეფექტური ხერხი, ჯერჯერობით, მარილის ზენაჯერი ხსნარისა და ბენზინის ნარევით დამუშავებაა. დაზიანებული ადგილები თვეში სამჯერ უნდა დაიფაროს ამ ნარევით. ოღონდ ნუ დაივიწყებ ხანძარსაწინააღმდეგო წესებს.



# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვ. გორისოვი — და კვლავ შევხვდებით (წერილი) . გარეკ. 2
მ. კარბარეთელი — წინ აუცილებლად უნდა გავიხედოთ (ნარკვევი) . . . . . . . 2
ალ. დიდებაშვილი — ლექსები . . . . . . 4
ნ. აფხაზავა — ჰეი, თქვენ! (მოთხრობა) . . . . 5
ნ. ხარაზიშვილი — სიკეთის გზა (ნარკვევი) . . . 10
გ. გელაშვილი — მოთხრობები . . . . . 12
აისი . . . . . . . . 14
ა. პალი — ბრიყვის ფათერაკები (მოთხრობა) . . . 19
კოცონი . . . . . . . . 21
ნ. ლონდარიძე — კარუსელი და ყვითელი ფოთოლი; ალვის ხე (ზღაპრები) . . . . . . . 22
მაღალი ზნეობის გაკვეთილი (ფ. მოსულიშვილი) . . . 24
ა. გეგეჭკორი — ლიტერატურა, ხელოვნება და ბუნებისმეტყველება (წერილი) . . . . . . . 25
ანსამბლი „ბითლზი“ (წერილი) . . . . . . 26
ლ. გოგებაშვილი — ლექსები . . . . . 27
ზ. ბარჯაძე — ლელო — ჩვენი საუნჯე (წერილი) . . 28
ვ. ბრედელი — ერთსულოვნების ძალა (მოთხრობა) . . 30
იცი თუ არა . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლ გვერდზე — დ. იაკობაშვილის სლაიდი,
მე-4 გვერდზე — ო. გველესიანის სლაიდი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ ჟამფრიანი, ლიანა შერვირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 20.04.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.06.89 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 937. ტირაჟი 151000 ეგზ., უე 09345.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151 000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1989 წ.

КОНТРОЛЬНЫЙ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი დასაწყისი; 6. ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; 7. ფეთქებადი ნივთიერება; 8. წარმოსახვითი ხაზი დედამიწის irgვლივ; 10. მინერალი; 12. (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზემების დიდი შენაერთი; 13. ქიმიური ელემენტების უმცირესი ნაწილაკი; 17. დიდი შენობის მთავარი შესასვლელი; 18. წყალში გახსნილი გაჯი ან სილისა და კირის ნარევი; 19. ქართველი ქიმიკოსი; 22. ძმარმჟავას მარილი; 23. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი თვისება; 26. გხსანათებელი მოწყობილობა თეატრში; 27. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 28. ნახევრად ლეგალური ტერორისტული ორგანიზაცია; 29. რამდენიმე ქვემეხის ხშირი სროლა ერთდროულად; 30. ვულკანური ქანი; 31. ორი მზიდი ზედაპირის მქონე თვითმფრინავი; 32. ადგილი ორატორისათვის.

**შვეულად:** 1. მაგნიტური რკინაქვა; 2. მდგომარეობა საერთაშორისო სამართალში; 3. წარსულის დიდი მოქადრაკე; 4. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისაგან გამოდის სიტყვა ან წინადადება; 9. ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე; 11. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 14. ქართველი პოეტი; 15. უნგრელი ფეხბურთელი; 16. ერთნაირი ნაკეთობების დასამზადებელი ნიმუში; 20. ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა სხვადასხვა ტიპის სასწავლებელთა მოსწავლეებს; 21. ქართველი მწერალი; 24. ერთვაზნიანი შაშხანა; 25. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (საქართველოში).

შეადგინა
ქ. ქურდოვანიძემ

## თავსატეხი




9 ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ 1-დან 9-მდე ციფრები (არ გაიმეოროთ!) ისე, რომ მათმა ჯამმა შვეულად და თარაზულად (წინასწარ ჩაწერილ ციფრებთან ერთად) შეადგინოს 18.

## გამოცანები

ადგილიდან აფრინდა
მგზავრებითურთ გალია,
თავს ფრთები რომ უბია,
სწრაფად ბრუნავს ძალიან.
სივრცე ხელად გალია.
ჩიტია თუ კალია?

●

მასზე ალბათ
ვერვინ იტყვის
რამეს საავუგოს,
სხვებს ტანთ აცმევს,
თავისთვის კი
თვით იკეთებს კუბოს.

ზავთით და რახით მოვიდა,
დაიპყრო მთები, ველები,
ვერცხლისფერ ტახტზე
დაბრძანდა,
გარს შემოირტყა მცველები,
ბოლოს ადგა და წავიდა
ტირილითა და ცრემლებით.

●

ქვეყანაზე რაა ნეტავ
(თვალებით რომ ვერა ხედავ)
ყველაფერზე მალი,
საწვავი რომ არ სჭირდება,

უცებ ისე გაფრინდება
და არ რჩება კვალი?

ნ. მარიხია

●

თუ კარგად დაუკვირდები,
ფიქრი არ გინდა დიდხანს:
ერთი წერწეტა ქალია,
არ შეუძლია კითხვა,
თუმცა სხვადასხვა ენაზე
დაწერს ყოველგვარ სიტყვას.

●

ადვილი მისახვედრია,
თუ კარგად დააკვირდები.
დაიბადება თუ არა,
მუდამ მზისკენ აქვს კვირტები.
შეხედავ, მზეს მოგაგონებს,
თან მზის სახელსაც ატარებს,
იმისი შავი მარცვლები
ძალიან უყვართ პატარებს.

ნ. გვარიშვილი

●

ის წელი მალე დადგება,
დამისახელო, იქნება,
რომელიც წალმა-უკუღმა
უცვლელად წაიკითხება.



## შარადები

„ვინც მოყვარესა არ ეძებს",
რა არის იგი თავისა?
კიდური მარცვლის გარეშე
გამოგადგება საწყისად.
მას იმერეთის ქალაქი
დაურთე შემდეგ ნაწილად. —
მზის გულზე დამწიფებული
უფრო ტკბილია ასწილად.

●

სიფრთხილეს
რაც არ ასტკივა,
გაორკეცებით მითხარ,
და შუა ხმოვნის მოშლასაც
ნუ დააყოვნებ დიდხანს,
რომ გასცე სწორი პასუხი
შარადის ბოლო კითხვას.

შ. შოთაძე

### პასუხი № 5-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

#### კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ვერდერი; 3. ლებარდე; 6. ნიორი; 10. ღერძი; 12. ანატომია; 14. იელი; 16. ავარია; 19. ჰავანა; 21. ჰიმალაი; 22. ასპინძა; 25. წეროვანი; 27. ბიოლოგია; 31. ათონი; 32, აბანო; 33. არაქისი; 34. ტრამალი.

**შვეულად:** 1. ვენესუელა; 2. ელიტა; 4. ბალჩა; 5. ემიგრაცია; 7. ოპალი; 8. ქსანი; 9. ხომლი; 11. რომბი; 13. ირი; 15. ბზა; 17. რიგა; 18. ავლანეთი; 19. ჰელსინკი; 20. ვაზი; 21. ჰარამხანა; 23. აკორდეონი; 24. ლობიო; 26. ბალბა; 27. ბლინი; 28. ოლე; 29. გზა; 30. ავაზა.

#### გამოცანები

შუქნიშანი; კალამი; ბუ; ვასაკა; ობობა; თევზი.

#### შარადები

ბახალა, და, ბალადა;
ბე, დოვლათი, ბედოვლათი;
ბოლო, ქანქარა, ბოლოქანქარა;



თბილისის დინამოს სტადიონი. 1989 წელი, საფეხბურთო სეზონის გახსნა.

ინდექსი 76157

ფასი 20 კაპ